პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთოთხმეტე

ფასი 10 კაპ.

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკ-ის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—33—15, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—31.

ხუთშაბათი
23
აგვისტო
1934 წ.
№ 195 (4151)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში

— მსოფლიო პრესა აფრთხილებს შორეულ აღმოსავლეთელ ცეცხლწამკიდებლებს.
— უთანხმოება იაპონიის საგარეო და საზღვაო სამინისტროებს შორის.
— აღმოსავლეთის პაქტი—უშიშროების და მშვიდობიანობის იარაღია.
— იტალია-ავსტრიის მოლაპარაკება.
— 31 აგვისტოს გაიხსნება ბალტიის ქვეყნების კონფერენცია.
— „პლებისციტის" შემდეგ გერმანიაში—ჰიტლერის მოწოდება.
— საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა.
— საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების შესახებ.
— მარგანეცის პროდუქციის გამომუშავების გეგმა 20 აგვისტოს შესრულდა 96,6 პროცენტით.

ორგანიზებულად ჩავატაროთ საშემოდგომო თესვა

საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საშემოდგომო თესვის შესახებ, რომელიც „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, აქვს უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს დადგენილება წარმოადგენს ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის გაშლილ პროგრამას მიწის უკეთ დამუშავების, მოსავლიანობის გადიდების, კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო - პოლიტიკური განმტკიცების და მეცხოველეობის განვითარების დარგში.

საშემოდგომო ნათესის საერთო რაოდენობა წელს რესპუბლიკაში განსაზღვრულია 271.520 ჰექტარით. გარდა ამისა წელს მნიშვნელოვნად გადიდებულია ვენახისა და ხილის ბაღების გაშენების დავალებანი მაგ. წელს შემოდგომაზე ჩაყრილი უნდა იქნას ახალი ვენახი 103 ჰექტარზე, გაშენდეს ბაღი 285 ჰექტარზე, დაფნა — 130 ჰექტარზე. გარდა ამისა ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება ითვალისწინებს მრავალწლიანი ნარგავების რემონტისა და 1935 წლისათვის ახალი ნარგავების (ვენახი, ბაღები) გაშენების სერიოზულ დავალებებს.

ზემოხსენებულ დირექტივებში საშემოდგომო თესვის შესახებ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებს, კერძოდ **თესლბრუნვის მტკიცედ გატარებას, ნიადაგის სწორად დამუშავებას, თესლის სავალდებულო გაწმენდა - შეწამვლას, მწკრივად თესვას, მავნებლებთან ბრძოლას.**

სოფლის პარტიული ორგანიზაციები და პირველ რიგში სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ გეგმიან დამკვრელურ მუშაობას საშემოდგომო თესვისათვის. თავდაპირველად ძალები გამოყენებულ უნდა იქნას ნასვენის და ნაპურალის მოხვნის დროულად ჩატარებისათვის.

ბევრია დამოკიდებული იმაზე თუ რაიმიწგანები და სოფსაბჭოები როგორ სწორად და დროულად მოახერხებენ თესვის მტკიცე გეგმა განრიგის სწორად მიცემას თითეულ მეურნეობისათვის და სათანადო კონტროლის გაწევას ხვნათესვის დავალებათა ვადაზე შესრულების საქმეზე.

კოლმეურნეობათა ხაზით **ყველაფერს სწყვეტს შრომის მოწესრიგება ბრიგადებსა და ჯგუფებში.** საქმე დაყენებული უნდა იქნეს ისე, რომ სექტემბრის პირველ ნახევარშივე საკოლმეურნეო ბრიგადებმა იცოდენ თავიანთი ნაკვეთი და თესვის გეგმიანი დავალება კულტურების მიხედვით.

ცეკა და სახკომსაბჭო იძლევა დავალებას რათა **სათესლე მასალის გამოყოფა დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.** ამ დავალების ყოველ მიზეზ გარეშე ვადაზე შესრულებასთან ერთად, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს თესლის სავალდებულო გაწმენდა - შეწამვლას და მის წესიერ შენახვას.

სას. სამ. მანქანა - იარაღების რემონტის დროულად და ხარისხიანად ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საშემოდგომო თესვის გამარჯვებით დამთავრებისათვის. ტრაქტორები და მთელი წვრილი ინვენტარი აღრიცხული, შეკეთებულ და გამზადებულ უნდა იქნას არა უგვიანეს სექტემბრის პირველ ნახევრისა.

დაუყონებლივ შევუდგეთ ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილების დამუშავებას თვითეულ სოფელსა და კოლმეურნეობაში, ბოლო მოუღოთ საშემოდგომო თესვის შეუფასებლობას ერთპიროვნულ მეურნეობებში, ვადაზე დავამთავროთ თესვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა — ასეთია ჩვენი მორიგი გადაუდებელი ამოცანა.

ხელშეკრულება გვავალებს!

სოციალისტური მშენებლობის გიგანტური ზრდა საქართველოში კარგად მოწყობილ და ჯანსაღ ურელსო გზათა ქსელს მოითხოვს. საბჭოთა საქართველო ჯერ არა კარგი გზების ქვეყნად ითვლება. საგზაო მშენებლობის ტემპები ჩამორჩება სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპებს.

ასეთ ჩამორჩენას ავტომრეწველობის ზრდა ველარ ითმენს.

პარტიისა და ხელისუფლების დირექტივაა — **ორი წლის განმავლობაში მოხდეს, ძირითადად, უგზოობის ლიკვიდაცია.**

საგზაო მშენებლობის მხრივ ყველაზე მოწინავე ჩუვაშიის რესპუბლიკის ინიციატივით საბჭოთა კავშირში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება უგზოობის ლიკვიდაციისათვის. ყველა საბჭოთა რესპუბლიკა ჩაბმულია ამ შეჯიბრებაში.

ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც საბჭოთა რესპუბლიკები ჩებოქსარში დადებულ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა და პარტიის დირექტივის განაღდებისათვის იბრძვიან.

როგორ მიდის ამ შეჯიბრებაში საქართველოს რესპუბლიკა?

შეიძლება ითქვას, არა **დამაკმაყოფილებლად. შეჯიბრების პირველ ტურში ჩვენ ჩამოვრჩით.**

მეორე ტურის შედეგებიც ვერ არის სახარბიელო. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმა პირველ აგვისტოსათვის რესპუბლიკაში 51,2 პროცენტით შესრულდა, მაშინ, როდესაც ჩუვაშიის რესპუბლიკას ეს გეგმა 1-ლ ივლისისათვის შესრულებული ჰქონდა 100-ზე მეტი პროცენტით.

ერთი დადებითი მოვლენა მაინც ახასიათებს წელს ჩვენში საგზაო მშენებლობას. **მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმის 51,2 პროც. შესრულებამ მოგვცა შესრულებულ გზათა სამუშაოების მეტი ფიზიკური მოცულობა. ახალ გზათა მშენებლობის გეგმა შესრულებულია 77,7 პროც. და რემონტისა კი — 49,3 პროც.**

ეს მაჩვენებლები მოწმობს, რომ ჩვენი საგზაო ორგანოების მუშაობაში ძირითადად გარდატეხა მოხდენილია. შემდგომში საჭიროა მისი კიდევ უფრო გაღრმავება და განმტკიცება.

უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკურ შტაბის დადგენილება, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, იმ ნაკლთა ნათელ ანალიზს იძლევა რომელსაც საგზაო მშენებლობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი. მთავარი ის არის, რომ **მოსახლეობა არ იცნობს უგზოობის ლიკვიდაციისათვის დადებულ სოციალისტურ ხელშეკრულებას და არ არის მტკიცედ დარაზმული მის რეალიზაციისათვის საბრძოლველად.**

ამასთან ჩვენ ვხედავთ რაიონებს. სადაც ჯერ არაფერი, ყოველ შემთხვევაში ძალიან ცოტაა გაკეთებული ამ დარგში (ყარაია, სვანეთი. ხობი, ზუგდიდი, მარტვილი). არის რაიონები, რომლებიც სამარცხვინოდ ჩამორჩებიან (აბაშა, ჩხოროწყუ, ბაშკიჩეთი).

მიმდინარე პერიოდი ხელსაყრელია საგზაო მშენებლობისათვის. საგზაო ორგანოებმა ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

დაუყონებლივ უნდა გაიშალოს ფართო მასობრივ - ორგანიზაციული მუშაობა, საბჭოთა სისტემის ყველა რგოლის აქტიური დახმარებით, რადგან **გზათა მშენებლობა მთელი ქვეყნის საქმეა.**

საგზაო მშენებლობის საკავშირო კონკურსში საბჭოთა საქართველო უკან არ უნდა ჩამორჩეს, უნდა გაიშალოს ბოლშევიკური ბრძოლა პირველობისთვის.

ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მაღალი ტემპები.

ამასვე გვავალებს ჩებოქსარში დადებული ხელშეკრულება.

„პლებისციტი—დიდი ყალთაბანდობა"

ინგლისური გაზეთების ირონიული კომენტარიები

ლონდონი, 21 აგვისტო. ინგლისის პრესა ირონიულად განმარტავს გერმანიის „პლებისციტის" შედეგებს რამდენიმე გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰამბურგი, სადაც **ჰიტლერმა** წარმოსთქვა სიტყვა რომელიც ერთად-ერთი სიტყვა იყო მთელი საარჩევნო კამპანიის დროს, ოფიციალური ცნობების მიხედვით, აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ ქალაქად, რომელშიაც ჰიტლერის წინააღმდეგ ყველაზე მეტი ხმა იქნა მიცემული.

„მორნინგ პოსტის" ბერლინელმა კორესპონდენტმა. გებელსის რჩევის თანახმად, ბევრ მუშას ჰკითხა — თუ რა აზრის არიან ისინი გერმანიის მდგომარეობის შესახებ და მიიღო ისეთი პასუხები, რომელთა გადმოცემაც გებელსისათვის არასასიამოვნო იქნებოდა. ელექტრომრეწველობის ერთ-ერთმა მუშამ განაცხადა, რომ „პლებისციტი დიდი ყალთაბანდობა" იყო.

ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ მრავალი ხმა იქნა მიცემული. „დეილი ექსპრესი" მიუთითებს, რომ გერმანიაში დღის წესრიგშია დასმული არა ოპოზიციის ლიკვიდაცია, რომლის ძალები კიდევ უფრო გაიზრდებიან, **არამედ უმადრეკი ნაციონალ სოციალიზმის უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია.** კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერი" აცხადებს. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ მიცემული იყო გაცილებით უფრო მეტი ხმა, ვიდრე ამას ოფიციალური ცნობები მოწმობენ, ვინაიდან ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ნაციონალ-სოციალისტები მიმართავენ ყალთაბანდობას თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის (ადს).

მსოფლიო პრესა აფრთხილებს შორეულ აღმოსავლეთელ ცეცხლწამკიდებლებს

სახიფათო ავანტურა

(ტელეგრაფით, „პრავდის" პარიზელ კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 21 აგვისტო. პარიზის პოლიტიკური წრეები ყურადღებით და შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს იაპონიის პროვოკაციულ მანევრებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე.

„ენტრანსიჟანი" ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა მეტად სახიფათო იქნებოდა იაპონიისათვის, ვინაიდან მთელი ქვეყანა საბჭოთა ავიაციის სამოქმედო რაიონში აღმოჩნდებოდა. „იაპონიამ, — წერს გაზეთი,—წინასწარ იცის, რომ. თუ იგი დაიწყებს შეიარაღებულ კონფლიქტს, მოწინააღმდეგედ ეყოლება სახელმწიფოთა უმეტესობა, სახელდობრ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები".

დომინიკე გაზეთ „რეპუბლიკში" წერს იმ მოტივების შესახებ, რომლებიც იაპონიის იმპერიალისტურ წრეებს ავანტიურისაკენ ერეკება:

„ციმბირის აღმოსავლეთი ნაწილი, მონღოლეთის ქვეყნები, ჩინეთი და წყნარ ოკეანის დასავლეთი ნაწილი—იაპონია ყველა ამას თავისი გავლენის სფეროს აკუთვნებს. ამას წინათ იაპონიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უკვე გვაგრძნობიეს, რომ ჩინეთში განსაკუთრებული უფლებები აქვთ. აქედან გამოდის, რომ იაპონია არ დაუშვებს ერთა ლიგის კონტროლსა და გამოსვლებს იმ ოლქებში, რომლებსაც თავისი გავლენის სფეროში თვლის. იგი არ დაუშვებს ამერიკის შეერთებული შტატების გამოსვლას წყნარ ოკეანის დასავლეთ ნაწილში.. მიაღწევს თუ არა იგი ამას უომრად"?

„უმანიტემ" და „პოპიულერმა" დღეს გამოაქვეყნეს მიმართვა, რომელიც მოუწოდებს მიიღონ მონაწილეობა შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის აგრესიის საწინააღმდეგო მიტინგში, რომელიც 24 აგვისტოს ბიულიეს დარბაზში შედგება. მიტინგზე გამოვლენ დიუკლო და რამეტი კომპარტიიდან პოლ ფორი და ჟირომსკი—სოციალისტურ პარტიიდან.

იაპონიას სურს მიიღოს აღმ.-ჩინეთის რკინიგზა, მაგრამ არ უნდა მისი ყიდვა

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. გაზეთ „ბალტიმორ სანის" უსაფუძვლოდ მიაჩნია ის ბრალდებები, რომლებსაც იაპონია უყენებს საბჭოთა კავშირს, ვინაიდან შეუძლებელია საბჭოთა მთავრობამ ხელი შეუწყოს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეამცირებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის შემოსავალს. საბჭოთა კავშირისათვის ბრალის დადება შეთქმულების მოწყობაში და საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება, რაც მოლაპარაკების შეწყვეტას დაემთხვა, გაზეთს საეჭვო მოქმედებად მიაჩნია. „აშკარაა,—ამბობს „ბალტიმორ სანი",—რომ იაპონიას სურს ჰქონდეს რკინიგზა და განზრახვა აქვს მიიტაცოს იგი. მაგრამ არ უნდა მისი ყიდვა". (ადს).

ჩინეთის პრესის კომენტარიები „საბჭოთა შეთქმულების შესახებ

შანხაი, 20 აგვისტო. ეხება რა მანჯურიის უკანასკნელ ამბებს, გაზეთ „ხანკოუ ჰერალდი" წერს, რომ იაპონიის ცნობებს „საბჭოთა შეთქმულების" შესახებ უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან ამ ცნობებს შეუძლია შექმნას კიდევ ერთი სენსაციური ისტორია, როგორიც იყო კურამოტოს გატაცება და მოკვლა. იაპონიის ბრალდებები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის საბჭოთა მოსამსახურების წინააღმდეგ,—აღნიშნავს გაზეთი,—სხვა არაფერია, თუ არა უხეში განზრახვა თავიდან მოიხსნას პასუხისმგებლობა გზის შესაძლებელი დაპყრობისთვის.

„თუ მშვიდობიანობას შორეულ აღმოსავლეთში საფრთხე ემუქრება,—წერს გაზეთი,—ეს, რასაკვირველია, **არ არის საბჭოთა კავშირის ბრალი.** საბჭოთა კავშირმა თითქმის ყველა მეზობელთან დასდვა თავდაუსხმელობის პაქტები და მრავალი წინადადება შეიტანა ჟენევაში საყოველთაო განიარაღების შესახებ. ეს წინადადებები უარყვეს ზოგიერთმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც უყვარს მიუთითონ საბჭოთა კავშირზე, როგორც საყოველთაო მშვიდობიანობის საფრთხეზე" (ადს).

„პლებისციტის" შემდეგ გერმანიაში

ჰიტლერის მოწოდება

ბერლინი, 21 აგვისტო. ამ დღეებში მომხდარ პლებისციტთან დაკავშირებით ჰიტლერმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ „დაპყრობილ იქნას ხალხის უკანასკნელი ნაშთები ნაციონალ-სოციალისტური იდეებისათვის".

მოწოდების თანახმად, მთავრობამ პლებისციტის ჩატარების შემდეგ პირველ ღამესვე „მიიღო გადაწყვეტილებანი ამ ამოცანის განსახორციელებლად" რაში მდგომარეობს მიღებული გადაწყვეტილებანი — არ ატყობინებენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოწოდებასთან ერთად ჰიტლერის გამოქვეყნებული მიმართვა სამხედრო მინისტრ **ბლომბერგისადმი,** რომელშიაც ჰიტლერი მადლობას უცხადებს იმისთვის, რომ რეიხსვერმა უკვე შეფიცა მას

„მე—ნათქვამია შემდეგ მიმართვაში.—ყოველთვის ჩავთვლი ჩემს უმაღლეს მოვალეობად დავიცვა არმიის არსებობა და ხელშეუხებლობა განსვენებულ გენერალ-ფელდმარშალ ჰინდენბურგის ანდერძის თანახმად და ჩემი საკუთარი ნებასურვილის შესაბამისად, განვამტკიცო არმია, როგორც იარაღის ერთად-ერთი მატარებელი" (ადს).

აღმოსავლეთის პაქტი უშიშროების და მშვიდობიანობის იარაღია

გაზეთი „ტანი" საფრანგეთ—პოლონეთის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 20 აგვისტო. გაზეთი „ტანი" საფრანგეთ-პოლონეთის ურთიერთობისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში აცხადებს, რომ პოლონეთის ოფიციალური პრესის მთელი რიგი განცხადებანი საფრანგეთ—საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის, აღმოსავლეთის პაქტის და საფრანგეთ -პოლონეთის ურთიერთობის შესახებ აიძულებს მას ყველაფერი „განმარტოს მთელი გულახდილობით". გაზეთი წერს, რომ პოლონეთ—გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესება მხოლოდ მისალმების ღირსია, მაგრამ ამავე დროს გაუგებარია, თუ რატომ უნდა მოყვეს ამას საფრანგეთ—პოლონეთის ურთიერთობის გაუარესება. გაზეთი აცხადებს. რომ აღმოსავლეთის ურთიერთდახმარების პაქტის პროექტს რომელიც მოწონებულია ინგლისისა და იტალიის მიერ და რომელიც უნდა გადაიქცეს ძირითად ელემენტად კონტინენტზე მშვიდობიანობის ორგანიზაციის სისტემაში, პოლონეთის პრესამ გააკრიტიკა რაც ზოგჯერ უცნაურ ფორმებს ღებულობს; გაზეთი გამოსთქვამს რწმენას, რომ პოლონეთის მთავრობა მიხვდება,— თუ რა მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის პაქტს, როგორც უშიშროების და მშვიდობიანობის იარაღს. (ადს).

იტალია-ავსტრიის მოლაპარაკება

ავსტრიის კანცლერი შუშნიგი ჩავიდა ფლორენციაში

რომი, 21 აგვისტო. ავსტრიის კანცლერი შუშნიგი ჩავიდა ფლორენციაში. სადგურზე შუშნიგს შეხვდნენ იტალიის მთავრობის მეთაური მუსოლინი და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი სუვიჩი.

ვენა, 21 აგვისტო. ავსტრიის პრესა დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს შუშნიგის გამგზავრებას იტალიაში, ამასთან ამ მოგზაურობას იგი აკავშირებს არა მარტო იტალია—ავსტრიის ურთიერთობასთან, არამედ დუნაის ბასეინში იტალიის მთელ პოლიტიკასთანაც (ადს).

პარიზი, 20 აგვისტო. საფრანგეთის პრესის ცნობით, **მუსოლინისა და შუშნიგს** შორის მოლაპარაკების თემას წარმოადგენს საკითხი ავსტრიის დამოუკიდებლობის დაცვის შესახებ. გარდა ამისა, გაზეთების სიტყვით განხილული იქნება საკითხი ავსტრიის შეიარაღებულ ძალთა გადიდების შესახებ (ადს).

ცული, კინო, რადიო—ჯალათის სამსახურში

ბერლინი, 21 აგვისტო. ამ დღეებში გამოვიდა პრუსიის იუსტიციის სამინისტროს მოხელის რიცშის ბროშურა იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელმაც შეიმუშავა სასჯელთა ცვლილების პროექტი.

სასჯელთა შორის, რომლებსაც კომისია იწონებს, ცენტრალური ადგილი უჭირავს სიკვდილით დასჯას, „ურომლისოდაც, როგორც ავტორი ხსნის,—ქვეყანაში მშვიდობიანობის დაცვა შეუძლებელია". ბროშურაში ჩამოთვლილია სიკვდილით დასჯის ყველა სახე, რომლებიც გამოყენებულ იქნება „მესამე იმპერიაში". სასჯელის ძირითადი სახე—თავის მოკვეთაა. სამხედრო სასამართლოს უფლება ეძლევა ნება მისცეს მსჯავრდებულს, განსაკუთრებული „მოწყალების" სახით და მისი უკანასკნელი სურვილის შესასრულებლად, რომ მიიღოს საწამლავი.

შემდეგ ბროშურაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მომავალში არ იქნება დაშვებული არავითარი განსხვავება „რწმენით მოქმედ", ე. ი. პოლიტიკურ დამნაშავეთა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის.

პირობები საპატიმროსა და კატორღაში საგრძნობლად უარესდება და ვადები გრძელდება, ვინაიდან „ზოგიერთი მსჯავრდადებული მოკლე ვადებს აფასებს, როგორც დასვენებას და არა სასჯელს" მოსამართლის უფლება ეძლევა მიუსაჯოს ბრალდებულს განცალკევებულ ოთახში, ბნელ საკანში მოთავსება, საღამოობით უსინათლოდ დატოვება, ამანათების მიღების აკრძალვა, ციხური მუშაობისათვის ხელფასის მიღების აკრძალვა და სხვა.

ბროშურა აღნიშნავს, როგორც განსაკუთრებულ მიღწევას, რომ კომისიამ გადასწყვიტა უარი თქვას ფიზიკურ სასჯელის და აგრეთვე სამარცხვინო ბოძთან დაყენების შეფარდებაზე. ამის მაგივრად კომისია ურჩევს უფრო თანამედროვე ხერხებს, როგორც, მაგალითად, მსჯავრდებულის ჩვენება კინოში, რადიოთი გამოქვეყნება, და ა. შ.

საბჭოთა კავშირში

მთავრობის დირექტივა გამოსასვლელ დღეებში დაწესებულებებში მორიგეობის შესახებ არ სრულდება

მოსკოვი, 21 აგვისტო. საბჭოთა კონტროლის კომისიამ ჩაატარა იმის შემოწმება, თუ როგორ სრულდება საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება გამოსასვლელ დღეებში დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მორიგეობის შესახებ. შემოწმებამ ცხადყო, რომ მთავრობის ამ დირექტივას, უმეტეს შემთხვევაში არღვევენ ანდა ფორმალურად ატარებენ. ბევრი მორიგე არ ცხადდებოდა სამორიგეოდ, ხოლო მთელ რიგ დაწესებულებებში პასუხისმგებელი მუშაკების მაგივრად ტექნიკური მუშაკები მორიგეობდენ.

სამორიგეოდ გამოუცხადებლობისათვის ამხ. ვაისბერგი (ფერადი ლითონის მთავარი სამმართველო) მოხსნილია სამუშაოდან.

საკავშირო მიწსახკომის მუშაკები — სვირიდოვი, ფროლოვი, ვასილიევი, ფედორენკო და სხვ. სამორიგეოდ გამოუსვლელობისა და დაგვიანებისათვის მიცემულნი არიან პასუხისგებაში.

საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიურომ დაავალა სახალხო კომისარიატების და დაწესებულებების ხელმძღვანელებს ერთი დეკადის ვადაში მიიღონ საჭირო პრაქტიკული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე საკითხების შეუფერხებლად გადაჭრას გამოსასვლელ დღეებში (ადგილებიდან მიღებულ სასწრაფო შეკითხვებზე პასუხის თავის დროზე გაცემა, ფოსტის გარჩევა, მთხოვნელთა მიღება და სხვ) (ადს).

თათბირი სამეცნიერო და სასწავლო ფილმის შესახებ

მოსკოვი, 21 აგვისტო. საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულ კინო - ფოტომრეწველობის მთავარი სამმართველო და „სოიუზტეხფილმი" ნოემბერში იწვევენ სრულიად საკავშირო თათბირს სამეცნიერო და სასწავლო ფილმის შესახებ. თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ სახალხო კომისარიატები, სამეცნიერო აკადემიები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები სასწავლებლები და საბჭოთა კავშირის უდიდესი სამეცნიერო, საინჟინერო-ტექნიკური ძალები. (ადს).

სტრატოსტატის გონდოლის შემოწმება გაფრენის წინ

საჭადრაკო ტურნირი ლენინგრადში

ლენინგრადი, 20 აგვისტო. საჭადრაკო შეჯიბრების მესამე ტურში ყაიმზე პირველი თანხმდებიან იუდოვიჩი და კანი, ორი ლიდერის - ქალაქის ჩემპიონის —ალატორცევის და რიუმინის —ერთმანეთთან შეხვედრა აგრეთვე ყაიმით თავდება. ლევენფიშმა პარტიაში რომანოვსკის წინააღმდეგ ვერ გამოიყენა ადვილად მოგების შესაძლებლობა ცეიტნოტში, რამოდენიმე სვლის შემდეგ პარტნიორები დასთანხმდნენ ყაიმზე. ჩეხოვერმა მე-59 სვლაზე მოუგო [illegible]. [illegible] მოუგო ლისიცინს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი —ბოტვინიკი ავად გახდა და მისი შეხვედრა რაბინოვიჩთან არ შესდგა. ალბათ, ორი-სამი ტურის შემდეგ ბოტვინიკი შესძლებს ტურნირის გაგრძელებას (ადს).

ჯიშიანი პირუტყვის აღრიცხვა

მოსკოვი, 21 აგვისტო. საბჭოთა კავშირის თვითეულ ადმინისტრატიულ რაიონში შემოღებული იქნება ჯიშიანი და გაუმჯობესებული პირუტყვის ერთიანი სარაიონო წიგნი, ხოლო ოლქებსა და მხარეებში —ერთიანი სახელმწიფო წიგნი. მოკავშირე რესპუბლიკათა მიწსახკომებს, საოლქო და სამხარეო მიწგანებს წინადადება მიეცათ მიმდინარე წლის დამლევამდე ჩაატარონ მთელი ჯიშიანი და გაუმჯობესებული პირუტყვის აღრიცხვა და ცნობები შეიტანონ საჯიშო წიგნებში.

1935 წლის პირველ თებერვლამდე გამორკვეულ უნდა იქნან ყველა ფერმები, რომლებსაც ჯიშიანი პირუტყვი ყავთ. ამავე დროისათვის უნდა ჩატარდეს პირუტყვის პასპორტიზაცია.

ჯიშიანი და გაუმჯობესებული პირუტყვის გამორკვევის და აღრიცხვის სამუშაოთა უკეთესი ორგანიზაციისათვის გაიცემა პრემიები, რისთვისაც გამოყოფილია პრემიალური ფონდი 100 ათასი მანეთის რაოდენობით. (ადს).

ამხ. ლიაპიდევსკი გაგრაში

სოხუმი, 22 აგვისტო. კურორტ გაგრაში საკავშირო ცაკის დასასვენებელ სახლში დასასვენებლად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ლიაპიდევსკი. (ადს).

თურქეთისა და უკრაინის სპორტსმენების შეჯიბრება

კიევი, 21 აგვისტო. თურქეთისა და უკრაინის სპორტსმენების შეჯიბრების მესამე დღეს წარმოებდა ფრანგული ჭიდაობა. ჭიდაობა დამთავრდა ნიშნით 4:2 თურქეთის სასარგებლოდ (ადს).

სტალინის სახელობის ქარხნის ფოლადის ჩამომსხმელ საამქროს მარტენის ღუმელი ნორმალურად მუშაობს

კრამატორსკი, 21 აგვისტო. სტალინის სახელობის ქარხნის ფოლადის ჩამომსხმელ საამქროს ახალმა მარტენის ღუმელმა №-4, დღეს 12 საათზე მოგვცა პირველი ნადნობი. ღუმელი ნორმალურად მუშაობს (ადს).

იწყება სასწავლო წელი

„პრავდა"-ს მოწინავე, 22/VIII

გადის საზაფხულო არდადეგების უკანასკნელი დღეები. 1 სექტემბერს, პიონერთა ბანაკებსა და სასკოლო კოლონიებში სუფთა ჰაერზე რამდენიმე თვით დასვენების შემდეგ, საბჭოთა კავშირის 26 მილიონი ბავშვი შეუდგება რეგულარულ სწავლას დაწყებით და საშუალო სკოლაში.

დაწყებითი და საშუალო სკოლა პირველი და ძირითადი რგოლია ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდის და სწავლების სისტემაში. დიდი და პასუხსაგებია სკოლის ამოცანები. იგი მოწოდებულია მისცეს ბავშვებს საერთოსაგანმანათლებლო ცოდნის განსაზღვრული ჯამი, მან უნდა მოამზადოს ისინი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მწვერვალების დასაპყრობად, იგი ვალდებულია ჩაუნერგოს მათ ჩვენი სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობა. და სკოლა უეჭველად გაართმევს თავს თავის ამოცანებს, თუ იგი მტკიცედ იხელმძღვანელებს პარტიისა და მთავრობის მითითებებით, თუ იგი შეუპოვრად და დაჟინებით გადალახავს იმ შეცდომებს, რომლებიც ახასიათებდა მას შედარებით დიდი ხნის მანძილზე.

ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ სკოლას, ისინი სისტემატიურად ამოწმებენ მის მუშაობას და ასწორებენ მის შეცდომებს. ცნობილია, რომ დაწყებითი და საშუალო სკოლა მუდამ წარმოადგენდა ასპარეზს კლასობრივად მტრული ელემენტების ყოველგვარი ცდისათვის შეეფერხებინათ ბავშვების კომუნისტურად აღზრდა. ამ ელემენტებს ეხმარებოდენ მემარჯვენეები თავისი „თეორიებით", რომელთა აზრი შეიცავდა სწავლების მოწყვეტას სოციალისტურ სინამდვილისაგან. ამავე ელემენტებს ეხმარებოდენ ყველა და ყოველგვარი მომემარცხენო პროექტიორები, რომლებიც აყენებდენ სკოლას, ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო ყოველმხრივ განვითარებული და კულტურული ადამიანების ნაცვლად, უვიცი მანეკენების აღზრდის გზაზე.

პარტიამ გაანადგურა როგორც მემარჯვენეები ისე „მემარცხენეები", მაგრამ მათი გამხრწნელი საქმიანობის კვალი დიდხანს ემჩნეოდა და აქა-იქ ახლაც ემჩნევა სკოლის მუშაობას.

წარსული პერიოდის განმავლობაში დაწყებითმა და საშუალო სკოლამ. პარტიის მითითებების საფუძველზე, თვალსაჩინო გაუმჯობესებას მიაღწია თავისი მუშაობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში. ამას, უწინარეს ყოვლისა, ადასტურებს 1933—34 სასწავლო წლის შედეგები. სკოლები, როგორც წესი, აწარმოებდენ მეცადინეობას ერთიანი პროგრამებით და სახელმძღვანელოებით, რაც საგრძნობლად უწყობდა ხელს ბავშვების უკეთ აღზრდასა და ანარქიულობის და დაფანტულობის აღმოფხვრას სწავლების მეთოდებში. საგრძნობლად გაძლიერდა სასკოლო დისციპლინა. მასწავლებლობა უფრო ენერგიულად და მტკიცედ ამაღლებდა თავის კვალიფიკაციას.

რასაკვირველია, ყოველივე ამან სათანადო გავლენა მოახდინა მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე, განსაკუთრებით ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა: რუსული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა და ქიმია. ბევრ საქალაქო და სასოფლო სკოლებში გაიზარდა მოსწავლეთა ცოდნა და აკადემიური წარმატება.

მაგრამ დაწყებითი და საშუალო სკოლის წარმატებანი სრულიად არასაკმაოა. სკოლის თანამედროვე მდგომარეობა სრულიად ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც დასახულია მის წინაშე პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის მიერ. სკოლების მუშაობა შეუწყნარებლად ნელი ტემპებით უმჯობესდება და მთელ რიგ შემთხვევებში აშკარად არ შეეფერება იმ მატერიალურ და სასწავლო ბაზას, რომელიც თანდათან მტკიცდება.

მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს გეოგრაფიის და ისტორიის სწავლებას, რაზედაც არსებობს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 16 მაისის მითითებანი. სახკომსაბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ ისტორიის სწავლება ატარებს განყენებულ სქემატიურ ხასიათს. იმის ნაცვლად, რომ ასწავლონ სამოქალაქო ისტორია ცოცხალი, მიმზიდველი ფორმით, უმნიშვნელოვანესი მოვლენების და ფაქტების ქრონოლოგიური თანამიმდევრული გადმოცემით, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებით, მოსწავლეებს სთავაზობენ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების აბსტრაქტულ განმარტებებს. გეოგრაფიის სწავლებაში უდიდეს მინუსს წარმოადგენს გადაცემის განყენებულობა და სიმშრალე, ფიზიკო-გეოგრაფიული მასალის არასაკმაობა, სუსტი ორიენტირება რუკაზე, სტატისტიკურ-ეკონომიური მასალით და საერთო სქემებით გადატვირთვა, რის გამო მოსწავლეები გამოდიან სკოლიდან ისე, რომ მათ ზოგჯერ მიღებული არა აქვთ ფიზიკო-გეოგრაფიის ელემენტარული ცოდნაც კი.

რა არის სკოლის ასეთი მდგომარეობის მიზეზი?

უმთავრესად ამის მიზეზია სკოლისადმი ცუდი ხელმძღვანელობა. მოკავშირე რესპუბლიკების განათლების ბევრ სახალხო კომისარიატს ზოგჯერ ძალიან სუსტად აქვს წარმოდგენილი სკოლების მდგომარეობა, საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, ისინი ძალიან დაგვიანებით სწავლობენ იმ ცალკეულ პროცესებს, რომლებიც ხდება როგორც სკოლაში, ისე განსაკუთრებით ბავშვებსა და პედაგოგებს შორის. სახალხო განათლების ბევრმა ორგანომ, თვით განათლების სახალხო კომისარიატებამდეც კი, არ იცის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამდვილი რაოდენობა, ისინი არ ადევნებენ თვალყურს იმ უდიდესი სახსრების ხარჯვას, რომლებსაც იღებს სახელმწიფო სახალხო განათლებისათვის, ძალიან იშვიათად შეიხედავენ ხოლმე სკოლებში და უმნიშვნელო ყურადღებას აქცევენ სკოლის ცენტრალურ ფიგურას—მასწავლებელს. სახალხო განათლების განყოფილებები გოდებენ მასწავლებელთა ნაკლებობას (სკოლების ზრდის ჩვენი ტემპების დროს მასწავლებლები მართლაც არ გვყოფნის) და ამავე დროს განსაკუთრებით უმზგავსოდ იყენებენ არსებულ კადრებს.

ზოგიერთ მასწავლებელს ცუდად ამარაგებენ და თავის დროზე არ აძლევენ ხელფასს. ამაში, რასაკვირველია, დამნაშავენი არიან არა მარტო სახალხო განათლების ორგანოები, არამედ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებიც. ახლანდელი სასწავლო წლისათვის მზადება დაიწყო უფრო ადრე და უფრო ორგანიზებულად, ვიდრე შარშან. მოიპოვებიან ათობით რაიონები და ათასობით სკოლები, რომლებმაც შესძლეს ბოლშევიკურად მომზადებულიყვნენ სამეცადინოდ, აეშენებიათ და შეეკეთებიათ სკოლის შენობები, დაემზადებიათ ახალი მერხები, შეექმნათ [illegible] წლის სამყოფი მარაგი, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები და შეექმნათ სასურსათო ბაზები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. დიდი მუშაობა გასწიეს სკოლის შეფებმა, განსაკუთრებით მოსკოვის და ლენინგრადის ოლქებში. ლენინგრადის ქარხანა „ელექტროპრიბორმა", მაგალითად, არამც თუ დახმარება გაუწია სკოლას სახსრებითა და მასალით,—მან სასწავლო წლის მზადებაში მონაწილეობა მიაღებია ასობით მუშებსა და ინჟინრებს. ქარხნის ინჟინრები და მუშები ხელმძღვანელობას უწევდენ სასკოლო შენობების რემონტს, ეხმარებოდენ სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობაში, სკოლის ავეჯის, დაზგების და სხვ. შეკეთებაში. ბევრმა სასოფლო საბჭომ და კოლმეურნეობებმა, კერძოდ, გიაგინსკის, დონდუკოვსკის (აზოვ-შავიზღვის მხარე) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, კოროჩანსკის (კურსკის ოლქი) სამანქანო-სატრაქტორო სადგურის კოლმეურნეობებმა, დაამთავრეს სასკოლო შენობების მშენებლობა და რემონტი, დაამზადეს სათბობი და სასკოლო ავეჯი, გამოუყვეს მასწავლებლებს ბოსტნები და ბაღები ინდივიდუალური სარგებლობისათვის.

მაგრამ სკოლისადმი ასეთ დამოკიდებულებას ყოველგან როდი აქვს ადგილი. მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში მრავალი სკოლა არ არის მზად მეცადინეობისათვის. ივანოვოს ოლქში, მაგალითად, სახალხო განათლების ორგანოებმა ვერ შესძლეს სათავეში ჩადგომოდენ საზოგადოებრივ ინიციატივას, ხოლო აღმასკომები და სასოფლო საბჭოები სრულიად განზე დგანან სასწავლო წლის მზადების საქმისაგან.

დაწყებითი და საშუალო სკოლის დანიშნულებაა გამოიმუშაოს ბავშვებისაგან ყოველმხრივ განვითარებული და კულტურული ადამიანები, რომლებსაც ექნებათ კომუნისტურ საზოგადოებაში მუშაობისა და შემოქმედების უნარი.

სასწავლო წელი იწყება. დაწყებითი და საშუალო სკოლა შედის თავისი საქმიანობის უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდში.

---

*) საქართველოში სწავლა 15 სექტემბერს იწყება. რედ.

ახალ სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა განიხილა ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების მიმდინარეობის საკითხი. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ 1934-35 სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საქმეში არსებულ ერთგვარ წარმატებებთან ერთად (ძირითადად დამთავრდა განათლების სახალხო კომისარიატების და განათლების განყოფილებათა აპარატების გარდაქმნა, ტარდება მასწავლებელთა მასობრივი გადამზადება, შესრულებულია სტაბილურ სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმები და სხვ.), საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დირექტივები ამ საკითხზე ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის შესრულებული.

ადგილი აქვს სკოლების მშენებლობის და რემონტის არადამაკმაყოფილებელ დაფინანსებას და დაუშვებელ გაჭიანურებას და იმ სასკოლო შენობების განთავისუფლების გაჭიანურებას, რომლებიც არ არიან გამოყენებული პირდაპირი დანიშნულებისამებრ, არ არის მოგვარებული სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების დაყვანა სკოლამდე; მთელ რიგ რაიონებში (ახალციხის, გორის, აბარანის, აგბაბინის, მასალინის, გეოკჩაის და სხვ.) სასწავლო წლისათვის მზადება არ ტარდება როგორც ფართო საზოგადოებრივი პოლიტიკური კამპანია.

საკ. კ პ (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ადგენს: მეცადინეობა დაწყებით და საშუალო სკოლებში დაიწყოს 15 სექტემბერს. კ. პ. (ბ) რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს დაევალა ჩაატარონ ყველა საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სკოლების მშენებლობის, რემონტის და სასკოლო მოწყობილობის დამთავრებას, მათ მომარაგებას სათბობით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და პოლიტექნიკური მოწყობილობით და სკოლების სავსებით მომზადებას მეცადინეობის დაწყებისათვის ამ ვადაში.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს განიხილონ რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისარიატების განცხადებები და მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლების მშენებლობას და რემონტს საშენი მასალით (განსაკუთრებით ლითონით, მინებით, ცემენტით და სახურავი მასალით), აგრეთვე უზრუნველჰყონ სკოლების მშენებლობის და რემონტის შეუფერხებლად დაფინანსება და მთლიანად გამოიყენონ ის სახსრები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია ამ მიზნისათვის.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, წინადადება მიეცა რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს გადასცეს განსახკომებს პოლიტექნიკური მოწყობილობის საწარმოები და გაითვალისწინონ 1935 წლის ბიუჯეტებში სახსრები მათი შემდგომი გაფართოებისათვის.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დაევალა, სახალხო განათლების დაფინანსების სისტემის მოწესრიგების მიზნით, დაამუშაოს იმ დადგენილების პროექტი, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება, სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებისათვის იმ კრედიტების განმკარგულებლების ფუნქციების გადაცემა, რომლებიც დანიშნულია სახალხო განათლებისათვის.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკათა მომარაგების სახალხო კომისარიატებს გამოყონ და მისცენ სამომხმარებლო კოოპერაციას სასწავლო წლის დასაწყისისათვის ტანსაცმელის, თეთრეულის, ფეხსაცმელის და საკვები პროდუქტების ფონდები მოსწავლეთათვის.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულები რესპუბლიკებში ვალდებული არიან შეასრულონ განათლების სახალხო კომისარიატების განაცხადები სასკოლო სახელოსნოებისათვის ნედლეულის მიწოდების შესახებ

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკათა განსახკომებს:

ა) უზრუნველყონ 1-ლ სექტემბრისათვის დაწყებით სკოლებში კურსდამთავრებული ბავშვების მთლიანად მიღება მე-5 კლასში, გარდა უფრო ჩამორჩენილი რაიონებისა;

ბ) საქალაქო საბჭოებსა და რაიაღმასკომებთან ერთად უზრუნველჰყონ სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების თავის დროზე გამოსყიდვა და მათი დაყვანა სკოლებამდე;

გ) პირველ სექტემბრამდე დაამუშაონ და დაიყვანონ სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებებამდე პედაგოგიურ და საზოგადოებრივი - პოლიტიკური ცოდნის მინიმუმი რაიგანათლების განყოფილებათა გამგეებისა, ინსტრუქტორებისა და სკოლების გამგეებისათვის;

დ) გამოსცენ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები ნაცუმცირესობათა სკოლებისათვის (ბერძნები, ქურთები, ტატები, და სხვ.);

ე) პირველ სექტემბრისათვის დაამუშაონ და წარუდგინონ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს ღონისძიებანი 1934-35 სასწავლო წელს ნაცუმცირესობათა სკოლების მასწავლებლების მომზადებისა და გადამზადებისათვის.

ვ) 5-დან 15 სექტემბრამდე ჩაატარონ მასწავლებელთა კონფერენციები, ამასთან გულდასმით დაამუშაონ ამ კონფერენციებზე სასწავლო გეგმები, პროგრამულ - მეთოდიური საკითხები და ახალი სახელმძღვანელოები.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა ა.-კ ცაკს, ა.-კ. პროფსაბჭოს და ა.ლ.კ.კ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადებაში სოფლის საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის გაძლიერებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა

აზერბაიჯანის ლიტერატურა

ამხ. ალექპერლის მოხსენება

ამხ. ალექპერლიმ თავისი მოხსენების საგრძნობი ნაწილი მოანდომა აზერბეიჯანის თურქული ლიტერატურის კლასიკოსების ჩვენებას და დახასიათებას, ლიტერატურის, რომელსაც ასობით ნიჭიერი და სიტყვის მრავალფეროვანი ოსტატი ჰყავდა. ამხ. ალექპერლი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ აზერბეიჯანის ძველ ლიტერატურას დღემდე არ ჰქონია თავისი მეცნიერული ისტორია და რომ აზერბეიჯანის სალიტერატურო და სამეცნ. ორგ. ნაკლებად მუშაობდნენ უძვირფასესი ისტორიული მასალის შეგროვების დარგში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება —ამბობს ამხ. ალექპერლი —მოგვევლინა ლიტერატურულ მხატვრულ ორგანიზაციათა მუშაობის გარდაქმნის დროშად ლიტერატურის პოლიტიკურ ამოცანებთან შეფარდებით მისი განვითარების ახალ უფრო მაღალ ეტაპზე.

საბჭოთა აზერბეიჯანის მწერლებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას უპასუხეს ათეული ახალი წიგნებით, ახალი პოემებით და რომანებით. ძველ, უპარტიო მწერალთა კადრების საგრძნობი ნაწილი თავისი შემოქმედებით ჩაება აზერბეიჯანის სოციალისტურ მშენებლობაში. წარმოიშვენ ახალი —ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები. აზერბეიჯანში უკვე დაახლოებით 60 მწერალი ითვლება.

1932-1934 წლების მანძილზე აზერბეიჯანში მხატვრული ნაწარმოებები გამოშვებულ იქნა უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე გამოშვებული იყო რევოლუციამდე 15 წლის განმავლობაში (1905-დან 1920 წლამდე), ე. ი. იმ პერიოდის ჩათვლით, როცა ხელისუფლების სათავეში იდგენ მუსავატელები, რომლებსაც თავი მოჰქონდათ ნაციონალური კულტურის ერთადერთ მატარებლებად.

ჩერდება რა აზერბეიჯანის პოეზიის დახასიათებაზე, ამხ. ალექპერლი მიუთითებს, რომ აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების ძირითადი მასა ამჟამად გაერთიანდა იმისათვის, რათა პოეტურ სახეებში გამოხატოს ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანი. აზერბეიჯანის პოეტებისა და მწერლების შემოქმედებით გარდაქმნას თან სდევს პირდაპირი მოწინააღმდეგობა ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტებისა, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ ჩვენი პოეზიის განვითარებაზე.

იმის გამოხატულებას, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი იდეოლოგია გავლენას ახდენს საბჭოთა მწერლების ცალკეულ რგოლებზე, წარმოადგენს. ცალკეული პოეტების მიერ იდეურ - მხატვრული გარდაქმნის ტემპების შენელება, ნაციონალიზმის ელემენტები მთელ რიგ ნაწარმოებებში, ფარსიზმის და არაბიზმის გავლენა ენაში, წვრილ - ბურჟუაზიული ინდივიდუალისტური ლირიკა ზოგიერთ აზერბეიჯანელი მხატვრების შემოქმედებაში.

პოეზიის ჩამორჩენა, უწინარეს ყოვლისა, საგრძნობია თემატიკაში. ჩვენი პოეტები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ აზერბეიჯანისათვის ისეთ ძირითად თემებს, როგორიცაა: ნავთისათვის ბრძოლის ჩვენება, ნავთის მრეწველობის და ბამბის მინდვრების დამკვრელთა მხატვრულად ასახვა.

ბევრი ჩვენი პოეტი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ განთავისუფლებულა სქემატიზმისაგან, აბსტრაქტული რიტორიკისაგან, შიშველი დეკლარაციებისაგან. ასეთი ნაწარმოებების საილუსტრაციოდ ამხ. ალექპერლის მოჰყავს ლექსები, სულიმან რუსტამისა „ლოკ ბატანი“, სამედ ვურგუნისა —„მიწის სისხლი“, ტუტულა გურიანის, „შაგინიანის პოემები და აზერბეიჯანის პოეტების მთელი რიგი სხვა ნაწარმოებები. აღნიშნული მარცხის ძირითად მიზეზს, —ამბობს მომხსენებელი, წარმოადგენს პოეტების მარქსისტულ - ლენინური შეიარაღების დაბალი დონე, მათი არასაკმაო მონაწილეობა სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკაში.

ჩვენს პოეზიაში წამყვან ჟანრს უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური კოლექტივის ლირიზმით გამსჭვალული საბჭოთა ეპიკური პოემა.

უკვე შექმნილ ასეთ ნაწარმოებთა ნიმუშად —ამბობს ალექპერლი, ჩვენ შეგვიძლია წარვუდგინოთ ყრილობას პოემა „კომკავშირი“ —სამედ ვურგუნისა, „კარგი ამხანაგი“ —ს. რუსტამისა, „ღამე“ —გიურამისა და სხვ.

გადავიდა რა თურქული პროზის და დრამატურგის დახასიათებაზე, ამხ. ალექსპერლი აღნიშნა აზერბეიჯანის ლიტერატურის ამ ჟანრების ჩამორჩენა აზერბეიჯანის მწერლებმა მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში შექმნეს ექვსი დიდი რომანი და მთელი რიგი საინტერესო დრამატურგიული ნაწარმოებები, რომელთა შორისაც საჭიროა აღინიშნოს ჯაფარ ჯაბარლის საუცხოვო პიესები „სეველი“, „ალმასი“ და „იაშარი“.

დასასრულ ამხ. ალექპერლი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირი კიდევ უფრო ენერგიულად აწარმოებს ბრძოლას ლიტერატურული ენის ხარისხისათვის, მაღალ მხატვრული ლიტერატურის შექმნისათვის, იმ გმირული ბრძოლის შესაფერი ლიტერატურისათვის, რომელსაც აწარმოებენ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მუშები და მებამბეები.

ამხ. ალექპერლის სიტყვის საბოლოო ნაწილს ყრილობა ძლიერი ტაშით ხვდება.

აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლები: მარცხნიდან მარჯვნივ — ამხ. ბეიუქ-აღა ტალიბლი, სეიდზადეი. ს. რუსტამი და ორდუბადი

სომხეთის ლიტერატურა

ამხ. სიმონიანის მოხსენება

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე სწრაფად ვითარდებიან სომხეთის საწარმოო ძალები. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 13 წლის მანძილზე მოპოებულია უდიდესი მიღწევები კულტურული მშენებლობის დარგში.

სომხეთში კულტურული მშენებლობა ფართოდ განვითარდა განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისა და მეორე ხუთწლედის პირველი წლების პერიოდში. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კულტურული რევოლუციის გაშლის საფუძველზე ვითარდება საბჭოთა სომხეთის ლიტერატურა და ხელოვნება.

ოქტომბრის რევოლუციამდე სომხურ რევოლუციურ პოეზიას ჰყავდა ისეთი წარმომადგენლები, როგორიცაა სახალხო პოეტი აკოპ აკოპიანი და პოეტი ქალი შუშანიკ კურგინიანი.

აკოპ აკოპიანი წარმოადგენს სომხური პროლეტარული ლიტერატურის ვეტერანს, რომლის შემოქმედებაც 1905 წლიდან უდიდეს აღმზრდელობითი გავლენას ახდენ და მუშათა მთელ რიგ თაობებზე, რევოლუციური პოეტები და მწერლები ოქტომბრის რევოლუციამდე მეტწილად ცხოვრობდენ ახლანდელი სომხეთის ფარგლებს გარეშე —უმთავრესად ტფილისსა და ბაქოში.

თანამედროვე სომხური საბჭოთა ლიტერატურა წარმოადგენს საბჭოთა სომხეთში აღზრდილ სალიტერატურო კადრების ნაყოფს.

ოქტომბრის შემდეგდროინდელი სომხური ლიტერატურის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია ეგიშე ჩარენცი. 1918 წელს გამოვიდა მისი დიდი პოემა „უგნური ბრბოები“. ამ პოემაში ჩარენცმა ბრწყინვალე ფორმით გამოსახა რუსეთის პროლეტარიატის სამოქალაქო ომი. შემდეგ პოემაში სათაურით „საყოველთაო პოემა“ ჩარენცი უმღერის პროლეტარიატის შეიარაღებულ აჯანყებას და რევოლუციის გამარჯვებას.

განსაკუთრებულ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს მისი რომანი „ნაირის ქვეყანა“. ამ ნაწარმოებში ავტორი ამჟღავნებს სომხეთის ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური პარტიის — „დაშნაკცუტუნის“ სოციალურ - პოლიტიკურ ბუნებას და გესლიანად დასცინის სომხეთის წვრილ ბურჟუაზიის ნაციონალურ რომანტიზმს.

უკანასკნელ წლებში ჩარენცი თავის ძალას ცდის ფილოსოფიური პოეზიის დარგში. სამწუხაროდ, ამ დიდი პოეტის საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი კავშირის ლიტერატურისათვის, დღემდე არ არის გადათარგმნილი რუსულ ენაზე.

პოეტ აზატ ვშტუნის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სომხეთის საბჭოთა ლიტერატურაში. იგი —სომეხი პოეტების ერთერთი წარმომადგენელია, რომელიც აშუღების და კლასიკური აღმოსავლეთის პოეზიის ფორმით უმღერის აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა რევოლუციურ - განმათავისუფლებელ ბრძოლას. მისი პოემები, რომლებიც მიძღვნილია რევოლუციური მოძრაობისადმი ინდოეთში („რამ როი“). ჩინეთში („ჩინელი ქალი“). თურქეთში, სპარსეთში წარმოადგენენ რევოლუციური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს.

ალაზანი —ყოფილი ასოთამწყობი, სომხეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი და „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქტორი. წერა დაიწყო 1922 წლიდან. 1933 წელს გამოვიდა მისი ლექსები და პოემები სახელწოდებით „ბორენია“. ალაზანმა ამას წინათ გამოუშვა დიდი ინდუსტრიალური რომანი „მე-60 ჰორიზონტზე“. რომანის თემაა — სომხეთის სპილენძის მაღაროთა მუშების ცხოვრება და ბრძოლა.

პოეტთა უფრო ახალგაზრდა თაობას ეკუთვნიან ვაგარშაკ ნორენცი, კეგან სარიანი, სოგომონ ტარონცი. 1933 წელს და 1934 წლის დასაწყისში გამოიცა ამ სამი პოეტის ნაწარმოებთა კრებული. მათი შემოქმედების დამახასიათებელ ჟანრს წარმოადგენს ლირიკული პოეზია.

საბჭოთა სომხეთის პოეზია დღემდე რჩება ლიტერატურის წამყვან დარგად. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ რეკონსტრუქციის პერიოდმა სომხეთის პოეზიაში ვერ ჰპოვა ისეთი ჭარბსისხლიანი გამოხატულება, როგორც რევოლუციის პირველმა წლებმა და სამოქალაქო ომმა, მაინც საბჭოთა სომხეთის პოეზიამ პოეტების ეგიშე ჩარენცის, აზატ ვშტუნის, ალაზანის, ნაირ ზარიანის, გურგენ მარის და სხვების სახით დასახა სწორი გზები სომხეთის ახალგაზრდა პოეტური ძალების განვითარებისათვის.

სომხეთის საბჭოთა პროზას, პოეზიისაგან განსხვავებით, ჰყავს მთელი რიგი წარმომადგენლები, რომლებიც ცნობილი არიან რევოლუციამდელ სომხურ ლიტერატურაში. ამ წარმომადგენლებს შორის ყველაზე უფრო დიდ ფიგურას წარმოადგენს სახალხო მწერალი და დრამატურგი შირვანზადე. შირვანზადე —რეალისტური სკოლის ფუძემდებელია, მიუხედავად მოხუცებულობისა და ლიტერატურის დარგში ნახევარი საუკუნის მანძილზე მუშაობისა, ალექსანდრე შირვანზადე განაგრძობს მუშაობას ახალ ნაწარმოებებზე.

იმ პროზაიკოსთა ჯგუფს, რომლებიც ჯერ კიდევ რევოლუციამდელი დროიდან მუშაობენ, ეკუთვნის აგრეთვე დერენიკ დემირჩიანი. ამავე ჯგუფს, დემირჩიანის გარდა, ეკუთვნიან სტეფანე ზორიანი, ვაგან ტოტოვენცი, დამსახურებული არტისტი მიქაელ მანველიანი.

სტეფანე ზორიანი სომხეთის ერთერთი თვალსაჩინო პროზაიკოსია. ლიტერატურულ ასპარეზზე იგი იმპერიალისტური ომის წლებში გამოვიდა. მაგრამ სტეფანე ზორიანს, როგორც მწერალს, თავისი ნიჭის განვითარების სრული შესაძლებლობა მხოლოდ საბჭოთა პირობებში ეძლევა. მოთხრობებში „რევკომის თავმჯდომარე“, „ქალი სამკითხველოდან“ და რომანში „თეთრი ქალაქი“ მნიშვნელოვანი მობრუნებაა ჩვენი სინამდვილის თემატიკისაკენ.

ყველაზე უფრო რევოლუციური პროზაიკოსია არაზი, რომელმაც წერა დაიწყო 1905 წლიდან. ემხრობოდა რა რევოლუციურ მოძრაობას, არაზი თავის ოქტომბრამდელ მოთხრობებში გამოხატავს სოფლის ღარიბთა ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ. ოქტომბრის შემდეგ არაზი იძლევა ცალკეულ სურათებს საბჭოთა სინამდვილიდან.

საბჭოთა პირობებში აღზრდილ პროზაიკოსებს შორის ყველაზე უფრო ნიჭიერი მწერალია მკრტიჩ არმენი. მან დაიწყო თავის მოთხრობები კომკავშირელთა ცხოვრების აღწერით. მისი უკანასკნელი ნაშრომი „სკაუტი № 89“ ყოფილი ობლების, იმპერიალისტური ომის მსხვერპლთა ცხოვრებიდან, წარმოადგენს მნიშვნელოვანი ღირებულების ნაწარმოებს.

ახალგაზრდა მწერალი ქალი არაქსი თავის პატარა მოთხრობებს უმთავრესად წერს გლეხთა განთავისუფლების თემაზე

საბჭოთა სომხეთის პროზაში, უფრო მეტად ვიდრე პოეზიაში, შესამჩნევია ის დეფექტები, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა დიდი პროლეტარული მწერალი— მაქსიმ გორკი თავის უკანასკნელ გამოსვლებში თუმცა საბჭოთა პროზაიკოსების ნაწარმოებნი მოწმობენ, რომ მოხდა დიდი იდეური და ფსიქოლოგიური ძვრები პროლეტარიატის მსოფლმხედველობის დაუფლებისაკენ, მაგრამ ბევრ ნაწარმოებს ახასიათებს სქემატიზმი, დაუმუშავებლობა, ზოგჯერ სახეების ვულგარიზაცია.

სომხური ლიტერატურის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს დრამატურგია. მწერალთა შედარებით მცირე რაოდენობა ანდომებს თავის ძალას დრამატურგიას. 13 წლის განმავლობაში სომხეთში გამოვიდა შემდეგი დრამატიული ნაწარმოებნი: შირვანზადე —„მორგანის ნათლიმამა“, ს. ბალდასარიანი —„სისხლიანი უდაბნო“, დემირჩიანი —„გულადი ნაზარი“ და „ფოსფორიული ბრწყინვა“, ვ. ვაგარშიანი —„ნავთი“ და „რკალში“, ვ. ტოტოვენცი —„ბაქო-ლონდონი“, ტიგრან ახუნიანი —„განთიადზე“ და „მტერი“.

ყველა ჩამოთვლილი დრამატიული ნაწარმოები სხვადასხვა დროს დადგეს სომხეთის თეატრებმა. სომხეთის სახელმწიფო თეატრის დამსახურებული არტისტის ჯანანის პიესამ „შახნამე“ მესამე პრემია მიიღო საკავშირო კონკურსზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილებამ მძლავრად შეუწყო ხელი სომხეთის მხატვრული კულტურის განვითარებას. სომხეთის ლიტერატურა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამდიდრდა მთელი რიგი ახალი ნაწარმოებებით. საგრძნობლად ამაღლდა ლიტერატურის იდეური და მხატვრული დონე. უპრინციპო ჯგუფობრიობა, რომელიც დიდხანს ახდენდა გავლენას სომხეთის სალიტერატურო ორგანიზაციის ცხოვრებასა და საქმიანობაზე, სასტიკად იქნა დამარცხებული. გაძლიერდა საბჭოთა მწერლის პასუხისმგებლობის გრძნობა. ამხ. გორკის უკანასკნელმა წერილებმა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს პასუხისმგებლობის ეს გრძნობა. მწერალთა ძირითადი მასა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა სოციალისტურ მშენებლობას, სწრაფად მზარდ ცხოვრებას. მაღალი ხარისხისათვის გაშლილი ბრძოლის მიუხედავად, ჩვენი ლიტერატურა მაინც ვერ იძლევა ჩვენი მდიდარი, მრავალფეროვანი ეპოქის ადამიანთა ახალი დამოკიდებულების და იდეალების ეპოქის სრულფასიან გამოხატულებას. ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრებას, მასების გაზრდილ მოთხოვნილებებს; იგივე უნდა ითქვას ლიტერატურული კრიტიკის შესახებაც.

სომხეთის ლიტერატურული ძალები, სომხეთის მწერალთა ყრილობის შემდეგ კომუნისტური პარტიის იდეური დროშის ქვეშ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულნი, წავლენ ახალი მიღწევებისაკენ იმ გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელების გზით, რომლებიც მთელი ჩვენი კავშირის ლიტერატურის წინაშე დასახა ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის უდიდესმა ბელადმა —ამხანაგმა სტალინმა.

სომხეთის საბჭოთა მწერლები: ამხ. აზატ ვშტუნი (მარცხნივ), შირვან ზადე (შუაში—ბიუსტი), ამხ. ჩარენცი.

მწერალთა მთაწმინდის მუზეუმში

მწერალთა მთაწმინდის მუზეუმმა თავისი არსებობის მოკლე დროის განმავლობაში დიდძალი მასალა შეაგროვა ქართველ კლასიკოსებზე.

განსაკუთრებით სრულადაა წარმოდგენილი აკაკი წერეთლის განყოფილება. აქ არის გამოუქვეყნებელი წერილები, დოკუმენტები, ფოტოგრაფიული სურათების დიდი კოლექცია, მწერლის ნაწერები, მთელი რიგი მისი პირადი ნივთები. თავმოყრილია აკაკის შესახებ როგორც ადგილობრივ, ისე რუსულ და საზღვარ-გარეთული პრესაში დაბეჭდილი მასალა. არის ალბომი „აკაკის მოგზაურობა ზემო რაჭაში 1911 წელს“ კინოლენტი, რომელზედაც ასახულია ეს მოგზაურობა. გრამაფონის ფირფიტაზე გადაღებული ლექსი, რომელიც თვით მწერლის მიერაა წაკითხული, მასალები აკაკის 50 წლის იუბილეს შესახებ და სხვ.

ილ. ჭავჭავაძის განყოფილება მდიდარია მწერლის პორტრეტებით, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე უცნობი იყო; აქვეა დიდძალი წერილები, დოკუმენტები, კორექტურა, ავტოგრაფები, წიგნები, მწერლის მეგობრების კარიკატურები და პორტრეტები. [illegible] ავტოგრაფებიდან ყურადღებას იპყრობს „სტუდენტთა სიმღერა“, რომელიც [illegible] წაშლილი მეფის ცენზურის მიერ.

[illegible] განყოფილებაში თავმოყრილია მისი ვრცელი საოჯახო არქივი, რომელიც შეეხება მე-17—19 საუკუნოებს. აქ არის წერილები, ანდერძი, პორტრეტები, პირადი ნივთები.

მუზეუმში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ვაჟა-ფშაველას (მისი ორიგინალები, მათ შორის „მინდია—გველის მჭამელი“ — პირველი რედაქცია ამ პოემისა, მისი პირადი ნივთები, მთელი რიგი პორტრეტები), ალ. ყაზბეგს (წერილები, პორტრეტები, მისი ნაწერების საავტორო ეკზემპლიარები), ნ. ბარათაშვილს (1844 წლის 23 სექტემბერს ტფილისში დაწერილი ლექსების ორიგინალები), რ. ერისთავს, ნ. ნიკოლაძეს, გრ. ორბელიანს. ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებს ([illegible] მთელი მისი მიწერ-მოწერა [illegible] გადასახლების ადგილიდან; ალ. ორბელიანი გადასახლებული იყო 1932 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის).

გრიბოედოვის განყოფილება წარმოდგენილია მთელ რიგ ექსპონატებით, რომლებიც ახასიათებენ გრიბოედოვის ცხოვრებას და შემოქმედებას. საქართველოში, სომხეთში და სპარსეთში ყოფნის [illegible] არის მისი ნაწარმოების („ვაი ჭკუისაგან“) ხელთნაწერები, მისი ეპოქის მთელი რიგი დოკუმენტები (ფირმანები, კონდაკები, დაუდ-ფაშის წერილი და სხვ.).

მუზეუმს აქვს აგრეთვე ვრცელი მასალა ავტოგრაფების, პორტრეტების და წიგნების სახით ამიერ-კავკასიის ხალხთა მწერლებზე, რომელთა მოღვაწეობა მჭიდროთ დაკავშირებულია ტფილისთან. ასეთია მირზა-შაფი, მირზა-ფათალი ახუნდოვი, გ. სუნდუკიანცი, ოვ. თუმანიანი (ორიგინალი მისი ლექსისა „საქართველოს პოეტებს“).

გარდა გამოფენილი მასალისა, მუზეუმს მოეპოება ქართველი მწერლების და საზოგადო მოღვაწეების მდიდარი არქივები. მუზეუმმა უკანასკნელ დროს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მახლობელ ნათესავებისაგან საჩუქრად მიიღო მათი ნაწერების, წერილების, დოკუმენტების, ფოტოსურათების და ნივთების დიდი კოლექცია. ყველაზე სრულად არიან წარმოდგენილი: დ. კლდიაშვილი, დ. ყიფიანი, ბ. მგალობლიშვილი, ნ. ლომაური, ფრონელი (ყიფშიძე), მაჩხანელი (დ. ნადირაძე), ა. ხახანაშვილი, შემდეგ დ. ერისთავი, ი. მაჩაბელი, ე. იოსელიანი, ს. ალნიაშვილი, შ. არაგვისპირელი.

გარდა ამ დოკუმენტების კონცენტრაციისა, რომელთა ნაწილი უკვე მომზადებულია დასაბეჭდათ და გამოვა ჟურნალ „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, მუზეუმი აგროვებს მოგონებებს მწერლებზე. უკვე შეკრებილია მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე, ილ. ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე.

ყრილობის დღიური

21 აგვისტოს დილის სხდომა

საბჭოთა მწერლების ყრილობის 21 აგვისტოს დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ა. მ. გორკის მოხსენების, საბავშო ლიტერატურაზე ს. მარშაკის თანამოხსენებისა და ნაციონალურ ლიტერატურაზე თანამოხსენებათა შესახებ. თავმჯდომარეობს ამხ. პავლენკო. კამათში ჩაეწერა 100 მეტი კაცი. პირველად სიტყვა ეძლევა ცნობილ ქართველ მწერალს ამხ. ჯავახიშვილს.

ამხ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები ჯერ კიდევ სუსტად არიან გაცნობილი მოძმე ერთა ლიტერატურას. ჩვეულებრივად საქმე განისაზღვრება მხოლოდ გადათარგმნით, მაგალითად რუსულიდან ქართულად და კავშირის ხალხთა სხვა ენებზე და პირიქით. მაგრამ განსაკუთრებით მცირეა თარგმანები ქართულიდან უკრაინულ ენაზე, ბელორუსულიდან ქართულზე და სხვ.

ყრილობა გააერთიანებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მწერლებს და შეამჭიდროებს მათ ერთ ოჯახად. საქართველოს მწერლები ესალმებიან საბჭოთა მწერლების მთლიანი კავშირის შექმნას (ტაში).

შემდეგ გამოდის ამხ. თ. გლადკოვი.

მკაფიო შტრიხებით ახასიათებს რა ჩვენს ეპოქას და ამ ეპოქის მიერ წარმოშობილ ახალ ადამიანს, ამხ. გლადკოვი ამბობს:

— ჩვენი სინამდვილის თავისებურებამ შექმნა მხატვრის ახალი ტიპიც. საბჭოთა მწერალიც პრინციპულად განსხვავდება ბურჟუაზიული მწერლისაგან ისე, როგორც სოციალისტური სისტემა პრინციპულად განსხვავებულია კაპიტალისტური სისტემისაგან. მასებთან მუდმივი კავშირი და მშენებლობაში უშუალო პირად მონაწილეობა— აი პირობა, რომელიც ანთავისუფლებს ჩვენს მწერლებს ზერელობისაგან.

ეხება რა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ამხ. გლადკოვი ამბობს, რომ ამ მეთოდის წარმატებითი შეთავსება მხატვრულ ნაწარმოებში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კულტურულია მწერალი, თუ რამდენად დაეუფლა ის მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას.

არა პორტრეტულობა, არამედ ტიპიურობა უნდა იდგეს ჩვენი ყურადღების ცენტრში, არა საჭირბოროტობა, არამედ თანამედროვეობა. ეს მდგომარეობა არ უარყოფს ცალკე შემთხვევებში ადამიანების პორტრეტული სახვის აუცილებლობას.

მიუწვდომელ შედევრს ამ მიმართულებით ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისთვის, წარმოადგენს ლენინის. ტოლსტოის პორტრეტები, დაწერილი გორკის მიერ

შემდეგ გამოდის ამხ. ლ. ლეონოვი.

— ჩვენ მოგვეცა საკვირველი ბედნიერება, — ამბობს ის, — ვიცხოვროთ მსოფლიო ისტორიის ყველაზე უფრო გმირულ პერიოდში. აქედან გამომდინარეობენ ჩვენი მოვალეობანიც და ჩვენი უფლებანიც, და ჩვენი სიმაყეც, და ჩვენი სიძნელეებიც, და ჩვენი მომავალი მოქალაქობრივი დაკმაყოფილებაც, რომ ბოლოსდაბოლოს, ჩვენ დავძლევთ მათ. რასაკვირველია, არც ერთ ეპოქაში ლიტერატორს არ განუცდია ასეთი საპატიო და მაღალი პასუხისმგებლობა, როგორც ამჟამად. ჩვენი ძირითადი საქმეა —გაჩვენოთ ღრმა და დასანახსოვრებელ სახეებში იდეების დიდი შეჯახება, დავამუშაოთ, თუნდაც შავად, ახალი მორალის პრინციპები და აღვბეჭდოთ ჯერ გაუგონარი მსოფლიოს დაბადება.

ჩვენ გავიგონეთ აქ, ყრილობაზე, თუ როგორი მომთხოვნი და მოუთმენელია ჩვენი პროდუქციის მომხმარებელი. ამიტომ ყოველგვარ ყალბ ნოტას, უსათუოთ მიგვყავართ იქამდე, რომ ავტორი თუნდაც შეუგნებლად, — მხოლოდ აბნელებს დიდ სიმართლეს, რომლის განმარტება თავისი მოწოდების არსებით მის მოვალეობას შეადგენს.

მხურვალედ ესალმება ყრილობა სომხეთის სახალხო მწერალს 76 წლის ამხ. შირვანზადეს.

იგი სალამს უძღვნის ყრილობას სომხეთის მშრომელი მასებისაგან და დიდი მღელვარებით იგონებს იმას, თუ რა გააკეთა ოქტომბრის რევოლუციამ სომხეთისათვის.

— მე მოხუცი ვარ, — ამბობს მწერალი,— მაგრამ არასოდეს არ მიგრძვნია თავი ისე ახალგაზრდად, ბედნიერად და თავისუფლად, როგორც ამჟამად. როდესაც მე მეკითხებიან, თუ რით აიხსნება, რომ არ ვხუცდები, მე ვუპასუხებ:

— მე ვცხოვრობ საბჭოების ქვეყანაში, რომელსაც მსურს შევწირო მთელი ჩემი ძალღონე.

ყრილობა მქუხარე ოვაციებით აცილებს სომხეთის სახალხო მწერალს.

ამხ. შკლოვსკი ლაპარაკობს ჰუმანიზმის კრიზისის შესახებ. ერთ დამსწრეთაგანის მიერ გამოთქმული იქნა აზრი, რომ ჰუმანიზმი იარსებებს, მაგრამ შეცვლილი სახით, მაშინ გორკიმ თქვა: „ეს ბრძოლაა მრავალი ათეული წლის“. დღეს ალექსი მაქსიმესძე გორკი ლაპარაკობს პროლეტარული ჰუმანიზმის შესახებ. ბრძოლა ჰუმანიზმის შესახებ თავდება ამ ტრიბუნაზე, და ჩვენ ვრჩებით მსოფლიოს ერთადერთ ჰუმანისტებად, პროლეტარულ ჰუმანისტებად.

ამხ. შკლოვსკი შემდეგ ჩერდება იმ შეცდომებზე, რომელიც თავის დროზე დაუშვეს ლეფელებმა.

სიტყვა ეძლევა ნიკოლო მიწიშვილს (საქართველო).

ახასიათებს რა სალიტერატურო კრიტიკის თანამედროვე მდგომარეობას, ამხ. ნიკოლო მიწიშვილი აღნიშნავს მის არა საკმაო თეორიულ შეიარაღებას, მის სუსტ ქმედობიანობას.

ჩვენს გმირულ საუკუნეში, — ამბობს შემდეგ ამხ. მიწიშვილი, — მწერალი, პოეტი, როგორც თავისი კლასის მსახური, ვალდებულია დაიკავოს თავისი ადგილი არა მარტო თავისი ხალხის ლიტერატურის ისტორიაში, არამედ საერთოდ ამ ხალხის ისტორიაში (ტაში).

საბჭოთა ლიტერატურამ, — ამბობს ამხ. მიწიშვილი, — განვლო დიდი მიღწევებისა და გამარჯვებების შემოქმედებითი გზა. ისტორიულმა აპრილმა, გაგვაერთიანა რა ჩვენ —უპარტიო და პროლეტარული მწერლები ერთ შემოქმედ ოჯახად, ამით ძირფესვიანად შეცვალა საბჭოთა ლიტერატურის საბრძოლო ფრონტზე ძალთა ბალანსი.

მხურვალე სალამს უძღვნის მწერლებს — სოციალისტურ კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში თანამებრძოლებს — მოსკოვის სტალინის რაიონის მასწავლებელთა დელეგაცია.

მქუხარე ოვაციებით ხვდება ყრილობა ტრიბუნაზე გერმანელი მწერლის ვაისკოფის გამოჩენას.

— ნება მომეცით, — ამბობს ამხ. ვაისკოფი, — ჩემი მეგობრების, გერმანელი მწერლების სახელით წარმატება ვუსურვო საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას. მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ თავს ვგრძნობთ აქ არა სტუმრად, არამედ შინ. აქ არ არის არც ერთი ჩვენთაგანი, ვისაც არ წაეკითხოს ჯერ კიდევ ბავშობისას, გენიალური ოსტატის მაქსიმ გორკის წიგნები. მათ მოგვცეს ჩვენ პირველი ბიძგი სოციალიზმის მოძრაობაში.

საბჭოთა მწერლების შემოქმედება, ამბობს ამხ. ვაისკოპფი, ჩვენზე ახდენს უდიდეს პოლიტიკურ გავლენას. მიუხედავად ამისა, სიტყვის საბჭოთა ოსტატების ნაწარმოებთა არასაკმაოდ მაღალი ღირსების თარგმანები ხელს გვიშლის ჩვენ ვისწავლოთ მათგან ოსტატობა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ბელორუსიის სახალხო პოეტს ამხ. კოლასს. თავის გამოსვლაში მან დაახასიათა ბელორუსიის ლიტერატურის მიერ განვლილი მთელი გზა.

ბელორუსიის მწერალთა არმია, — ამბობს ამხ. კოლასი, — რომელიც უკანასკნელ წლებში შეივსო რევოლუციის ცეცხლში გამოწრთობილი ახალგაზრდობით, შესძლებს მიაღწიოს ახალ, გადამჭრელ წარმატებებს ლიტერატურულ ფრონტზე.

— ჩვენი პირველი ყრილობა, — ამბობს ამხ. მიკიტენკო, — ამართლებს იმ დაძაბულ მოლოდინს, როგორითაც ემზადებოდა მისთვის მთელი ქვეყანა. ჯერ არასოდეს ასე ნათლად არ დანახულა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ლიტერატურის შემოქმედების მთლიანობა, როგორც ამჟამად, ამ ისტორიულ ყრილობაზე, ყოველდღე და ყოველ საათს ჩვენ ვხედავთ ამ ერთსულოვნებას ნაციონალურ რესპუბლიკების მოხსენებებშიაც და ყრილობაზე მუშათა დელეგაციების გამოსვლებშიაც, ვგრძნობდით ამას, როდესაც ვისმენდით ოტო იულის-ძე შმიდტის ცხოველ სიტყვას.

შემდეგ, ამხ. მიკიტენკომ დიდი ყურადღება მიაპყრო საკითხს ისეთი წიგნის შექმნის შესახებ, რომელიც გაამდიდრებდა მკითხველს ცოდნით, ხაზი გაუსვა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის სწრაფად ათვისების აუცილებლობას, მისი დახმარებით თვითეული დიდი თემის ღრმად დამუშავების საჭიროებას. მან მიუთითა, რომ უკლასო სოციალისტური საზოგ. შექმნის მქუხარე პერიოდი უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებებით, რომელთა თემატიკა იქნება სოციალისტური მორალი.

ამხ. ერმილოვი დაწვრილებით შეჩერდა ხალხური შემოქმედებისადმი დიდი ყურადღების მიპყრობის აუცილებლობაზე და ხაზი გაუსვა მწერალთა ერთერთ ძირითად ამოცანას —დაეხმარონ ახალგაზრდა დამწყებ ავტორებს.

ებრაელმა პოეტმა ამხ. ფეფერმა თავის გამოსვლაში დაწვრილებით გააცნო ყრილობას ებრაული ნაციონალური კულტურის შემოქმედებითი ზრდა.

— მხნეობა და ოპტიმიზმი, —ამბობს ამხ. ფეფერი, —აი ძირითადი სახე, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირის ებრაელ პოეტთა შემოქმედებას. იგივე უნდა ითქვას ებრაული პროზის და დრამატურგიის შესახებ. ებრაული ლიტერატურის რიცხობრივ ზრდაში დიდი როლი ითამაშა მარქსისტულმა კრიტიკამ.

ამის შედეგად არცერთი ბურჟუაზიული ქვეყნის ებრაული ლიტერატურას ამჟამად არ შეუძლია შეედაროს საბჭოთა ქვეყნის ებრაულ ლიტერატურას.

დილის სხდომაზე ბოლოს გამოსულმა ამხ. ჩუმანდრინმა თავისი გამოსვლა მოანდომა მარქსისტული კრიტიკის საკითხებისადმი უდიდესი ყურადღების მიპყრობის აუცილებლობას, რომელიც დღემდე ჩამორჩება იმ დონეს, რომელზედაც იმყოფება საბჭოთა ლიტერატურა.

ყრილობის მისალმება

ამხ. კ. ე. ვოროშილოვს

ძვირფასო კლიმენტი ექვთიმეს-ძევ! საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა, რომელზედაც შეიკრიბნენ ოქტომბრის რევოლუციის ქარცეცხლში შობილი, სამოქალაქო ომში გამობრძმედილი და ორი სოციალისტური ხუთწლედის გადამწყვეტ ბრძოლებში განმტკიცებული მრავალერიანი საბჭოთა ლიტერატორების 500 წარმომადგენელი, —თავის მღელვარე, გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სალამს გიძღვნის თქვენ, თავდაცვის რკინის სახკომს, გმირული წითელი არმიის —მშვიდობიანობის და მთელი კაცობრიობის განვითარების დამცველს—ბელადს.

ჩვენი მომართვა თქვენდამი და წითელი არმიისადმი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. წითელი არმია —ჩვენი უმრავლესობის ოჯახი და სკოლაა. წითელი არმია აყალიბებდა ჩვენს სიჭაბუკეს და გამოგვყავდით ცხოვრების ფართო გზაზე. პარტიზანული რაზმების და რეგულარული დივიზიების სახელები და ნომრები ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარია.

წითელ არმიასთან სისხლით დაკავშირებულებმა და ბედის მიერ შეგნებულად ამორჩეულებმა, ჩვენ მივეცით მას ბრძოლებისაგან ჯერ კიდევ გაუციებელი ხელით დაწერილი ნაწარმოებები.

ამ წიგნებში ჩვენ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და საერთაშორისო პროლეტარიატს ვუჩვენეთ პიტერის, შორეულ აღმოსავლეთის, ციმბირის, ურალის, უკრაინის და შუა აზიის მეომრები, მეთაურები და კომისრები, —ამ ადამიანების სახეები და სახელები სამუდამოდ აღბეჭდილია ლიტერატურაში.

ჩვენი უმრავლესობა ამჟამად არ არის არმიის რიგებში, მაგრამ კვლავ მოსჩანს მოწინააღმდეგე და ჩვენ მიზნად ვისახავთ დავსწეროთ ახალი დამრაზმავი წიგნები და აღვიმაღლოთ მათში ხმა იმ უმაღლესი და საუკეთესო მიზნების დასაცავად, რომელთა მატარებელიც პროლეტარიატია.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მწერლები აცხადებენ, რომ ჩვენი ქვეყანა და არმია შესაიარაღებლად მიიღებენ ლიტერატურის ახალ ნიმუშებს.

მწერლები ასახავენ თანამედროვე წითელ არმიას, მის უბრალო და გმირულ მებრძოლებს, მათ მაღალ და წმინდა მორალურ სახეს, მაღალ იდეურობას და ამ არმიის ძალას, იმ ძალას, რომლის შედარება არ შეიძლება არც ერთ ძალასთან.

ჩვენ მიზნად ვისახავთ დავსწეროთ წიგნები ნამდვილ მოწინააღმდეგეთა შესახებ, გამოვამჟღავნოთ მათი ძალების ხარისხი, კაცობრიობის საწინააღმდეგო მათი მიზნები და გამოვხატოთ, თუ როგორ ემზადებიან ბრძოლისათვის ჩვენი მოკავშირე პროლეტარული ძალები კაპიტალისტური არმიების ზურგებში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მწერლები აცხადებენ, რომ თუ საჭირო შეიქნა ჩვენი დიდი სამშობლოს დაცვა შეიარაღებული თავდასხმისაგან, მწერლები, პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე, კვლავ ჩადგებიან არმიის საბრძოლო რიგებში. ჩვენში ცოცხალია წითელი არმიის ყველა —პირველიდან უკანასკნელამდე —საბრძოლო კეთილშობილი ტრადიციები, რომელთა შორის ერთერთია: „ვურტყათ მტერს ისე რომ იგი გონს ვერ მოვიდეს“. ჩვენ წინანდებურად ახალგაზრდები ვართ, ჩვენო მებრძოლო სახალხო კომისარო, და მზად ვართ შორეული ლაშქრობისათვის.

ჩვენ ხმამაღლა შევძახებთ: „გაუმარჯოს ჩვენს ღვიძლ წითელ არმიას —ჩვენს სიყვარულსა და ჩვენს სიამაყეს“ (ადხ).

21 აგვისტოს საღამოს სხდომა

ყრილობის 21 აგვისტოს საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი ა. მ. გორკის მოხსენების, საბავშო ლიტერატურაზე და ნაციონალურ ლიტერატურის შესახებ თანამოხსენებათა გარშემო. თავმჯდომარეობს ამხ. პასტერნაკი.

პირველად გამოდიან ამხ. კასილი და ლეჟნევი.

ყრილობაზე მისასალმებლად მოვიდა მოსკოვის პიონერთა დელეგაცია, —აცხადებს ამხ. პასტერნაკი.

ტრიბუნიდან ხმამაღლა გაისმის საყვირის ხმა.

მას უპასუხებენ დარბაზის სხვადასხვა ადგილიდან საყვირები.

გუგუნებს ორკესტრი. მთავარ შესასვლელთან გამოჩნდებიან პიონერთა დროშები. პიონერთა დელეგაცია გაივლის მთელ დარბაზს და ადის ტრიბუნაზე, რასაც ყრილობა ერთსულოვანი მქუხარე ტაშით ეხმაურება.

პიონერებმა უძღვნეს ყრილობას წითელი ყვავილების თაიგული და გადასცეს მხურვალე სალამი მოსკოვის ყველა პიონერთა სახელით.

პიონერები ადგენენ თავის სოციალურ შეკვეთას. მათ სურთ იკითხონ გმირების შესახებ, ფაბრიკებისა და ქარხნების შესახებ, ვარსკვლავებისა და პლანეტების შესახებ, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის შესახებ, იცოდნენ საუკეთესო ბოლშევიკთა ბიოგრაფიები...

სწრაფად მომავალი ცვლისათვის, —მოუწოდებენ პიონერები საბჭოთა მწერლებს. ყრილობა უპასუხებს მქუხარე ოვაციით.

თითქოს პიონერთა საპასუხოდ ლამაზ სიტყვას საბავშო ლიტერატურის შესახებ, რომელსაც არა ერთხელ აწყვეტინებენ ერთსულოვანი ტაშით, ამბობს ამხ. ჩუკოვსკი.

დიდი, მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდა ილია ერენბურგი, რომელსაც ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ თავმჯდომარე ამხ. პასტერნაკი აცხადებს, რომ ყრილობაზე მისალმებისათვის მოვიდა მოსკოვის გარნიზონის ნაწილების დელეგაცია. ყრილობის დელეგატები და სტუმრები ყველანი, როგორც ერთი კაცი, თავისი ადგილებიდან ფეხზე დგებიან და მქუხარედ უკრავენ ტაშს.

გუგუნებენ პიონერთა საყვირები. დარბაზში თავიანთი დროშებით შემოდის წითელარმიელთა რაზმი. მტკიცე, სამხედრო ნაბიჯით წითელარმიელთა რაზმი მიიმართება ტრიბუნისაკენ. ხალხით გაჭედილ სვეტებიან დარბაზის სხვადასხვა ადგილიდან ისმის მძლავრი „ვაშა“. პრეზიდიუმი და ყრილობის დელეგატები წითელ არმიელებს ესვრიან ყვავილებს.

ამხ. ილიჩევი მოსკოვის გარნიზონის ნაწილების წითელარმიელთა, კომანდირთა და პოლიტმუშაკების სახელით გადასცემს მხურვალე სალამს საბჭოთა მწერლების ყრილობას. კვლავ გაისმის ტაში, მოისმის წამოძახილები: „გაუმარჯოს წითელ არმიას“, რაც იფარება ძლიერი „ვაშათი“.

მიმართავს რა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის, ამხ. ილიჩევი ამბობს: „წითელი არმიის მებრძოლებს უყვარხარ და გაფასებენ თქვენ და თქვენს ყველა ნაწერებს: თქვენ პროლეტარული კულტურის პირველი მებრძოლი, თქვენ —ჩვენი ღვიძლი და საყვარელი მწერალი“.

ამხ. ილიჩევი უდგენს ყრილობას მთელ რიგ მოთხოვნებს. წითელი არმია მოელის საბჭოთა მწერლებისაგან ისეთ წიგნებს, რომლებშიაც ასახული იქნება რიგითი წითელი მებრძოლი, მისი ყოველდღიური ცხოვრება და სწავლება.

ყრილობის სახელით ამხ. ვიშნევსკი უპასუხებს მისალმებაზე და კითხულობს ყრილობის მიმართვას თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვისადმი.

წითელარმიელთა დელეგაცია სიმღერით სტოვებს დარბაზს. ყრილობის დელეგატები კვლავ უმართავენ ხანგრძლივ ოვაციას ღვიძლი საყვარელი, უძლეველი წითელი არმიის წარმომადგენლებს.

შემდეგ ყრილობას ესალმება წითელ ფლოტელთა, თადარიგის კომანდირთა დელეგაცია. კვლავ გაისმის ტაში.

ამხ. კრონშტადსკიმ გადასცა ა. მ. გორკის მისი სახელობის ვოლგის ფლოტილიის მთელი კატერის მოდელი.

ოვაციებით გაცილებული დელეგაცია ტოვებს დარბაზს.

ამხ. პასტერნაკი სიტყვას აძლევს საფრანგეთის მწერალს ჟან რიშარ ბლოკს. დარბაზი უცხოეთის სტუმარს მქუხარე ტაშით ხვდება.

ლამაზად და ცოცხლად ლაპარაკობს ჟან რიშარ ბლოკი, საბჭოთა ქვეყანაზე თავისი პირველი შთაბეჭდილებების შესახებ საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით გამოწვეულ თავისი აღტაცების შესახებ ის ადარებს ბურჟუაზიული დასავლეთის მკითხველებს საბჭოთა მკითხველებთან და მიუთითებს, რომ სიტყვის საბჭოთა ოსტატებს ჰყავთ 170 მილიონიანი აუდიტორია, და ამას შეიძლება მხოლოდ შევნატროდეთ.

— ჩვენ აღტაცებული ვართ თქვენით, ჩვენ გვიყვარხართ —ამბობს ჟან რიშარ ბლოკი.

მისი სიტყვით, რომელიც იფარება ტაშით, მთავრდება 21 აგვისტოს საღამოს სხდომა.

ტყის ენთუზიასტები

ტფილისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა: ავტომანქანების დატვირთვა ხე-ტყის მასალებით ალბულაღის უბანში სურათზე მარცხნივ მეურნეობის დირექტორი ამხ. დავით სალაყაია. მარჯვნით ინჟ. მეტყევე, საწარმო ნაწ. გამგე ამხ. დ. მინდაძე

კაბინეტი მარტივადაა მოწყობილი. მას ამშვენებს ჩვენი პარტიის ბელადების ამხ. ლენინის და სტალინის პორტრეტები. ამ პორტრეტებს ქვევით ორი მაგიდა დგას, მაგრამ ისინი სრულიად უმნიშვნელო ექსპლოატაციას“ განიცდიან, რადგან დირექტორები მაგიდებით თვეში 10—15-ჯერ თუ ისარგებლებენ ხოლმე.

შეიძლება იკითხოთ, მაგიდების „დაუტვირთაობა“ ხომ არ არის გამოწვეული იმით, რომ დირექტორები სეირნობენ? ან იმით, რომ ისინი ქეიფობენ და დროს უქმად ატარებენ?

არა! ამის თქმა მათზე უსამართლობა იქნებოდა.

მაშ სად ატარებენ ისინი დროს? სატყეო უბნებში, ბრიგადებში, ხე-ტყის მასალების დამზადებაზე, გამოზიდვაზე, რკინისგზის სადგურებში, ვაგონების დატვირთვაზე, მასალების ხარისხის შემოწმებაზე.

ვინ არიან ისინი? ტფილისის სატყეო - სამრეწველო მეურნეობის დირექტორი ამხ. დავით სალაყაია და მისი მოადგილე ინჟ. მეტყევე ამხ. დ. მინდაძე.

საქართველოს სატყეო ტრესტის სისტემაში ეს მეურნეობა თავისი სიდიდით მეორეა (პირველია—სვანეთის), მას დიდი ამოცანებიც აქვს დასახული.

ამ მეურნეობას შარშან საქმე ცუდათ ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო უხეირო ხელმძღვანელების (ამხ. ჯაფარიძე და ფრუიძე), უხეირო მუშაობით. მეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ მაგრად მოკიდა ხელი პარტიის და მთავრობის დავალებათა შესრულებას. სწორი სამეურნეო ხელმძღვანელობის შედეგად, პირველი კვარტალის საწარმოო - საფინანსო გეგმა მთლიანად შესრულდა. ასევე ენერგიულად იბრძოდენ ისინი მეორე კვარტალის დავალებათა შესრულებისათვის. ეს ამოცანაც დასძლიეს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საუკეთესო მდგომარეობა მოიპოვეს. ნედლეულის დამზადების ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა: სახერხი მორები დამზადებულია გეგმის 96,4 პროც., საავიაციო წიფელა — 107,6 პროც., საფანერო წიფელა — 124 პროც., შეშა — 108,5 პროც., საერთოდ, ყველა ასორტიმენტის გეგმა შესრულებულია 105,8 პროც., ხოლო მთელი წლის გეგმა ყველა ასორტიმენტის დამზადების დარგში პირველი ივლისისათვის შესრულებული იყო 88,3 პროცენტით.

დამზადება იმდენ სიძნელეს არ შეიცავს, რამდენსაც ტყიდან გამოზიდვა, რკინისგზის სადგურამდე მიტანა. ამიტომაც იტყვიან, რომ სატყეო მეურნეობების ძირითად და უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ხე-ტყის გამოზიდვა. არც ამ დარგში აქვს მეურნეობას ცუდი მაჩვენებლები. წლის პირველი ნახევრის გეგმა გამოზიდვის დარგში (ყველა ასორტიმენტის მიხედვით) შესრულებულია 101,4 პროც., ხოლო წლიური გეგმა — 91,2 პროც. ეს მაჩვენებლები უკომენტარიოდაც ამტკიცებენ ამ მეურნეობის კარგ მდგომარეობას.

საწარმოო პროგრამის შესრულებასთან ერთად სრულდება საფინანსო გეგმაც. მეურნეობაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა თანხების გაფლანგვის ან გადახარჯვისა. მეურნეობის მთელ კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული, რომ თვითღირებულების შემცირების თვითეული პროცენტი ათას მანეთებით დაგროვებას იძლევა, და, რომ საბოლოო ანგარიშით ეს უდიდეს საქმეს წარმოადგენს. მეურნეობამ ნედლეულის თვითღირებულების შემცირება პრაქტიკულ ამოცანად დაისახა და გაატარა კიდეც. აი შესაფერი ციფრებიც.

ერთი კუბომეტრი წიფელის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულ 92 მან. და 87 კაპეიკიდან შემცირდა 81 მან. და 05 კაპეიკამდე. საფანერო ნედლეულზე თვითღირებულების შემცირებამ მიაღწია 20 პროც. საერთოდ ყველა ასორტიმენტზე წლის პირველ ნახევარში თვითღირებულება შემცირებულია 15 პროც., რამაც 75 ათასი მანეთის ეკონომია მოგვცა.

ტყისა და დაცურების მუშაკთა პროფკავშირმა ამ დღეებში შეაჯამა კონკურსის შედეგები სატყეო-სამრეწველო მეურნეობების ხაზით. შედეგებმა ნათელყო ტფილისის მეურნეობის გამარჯვება, იგი წარდგენილია პირველ ჯილდოზე, რომელიც ითვალისწინებს გარდამავალ დროშას და 3.000 მანეთს.

ამ დროშისათვის ხელიხელ ჩაკიდებული იბრძოდა მეურნეობის მთელი კოლექტივი: მუშები, ინჟინერ ტექნიკოსები, უბნის ხელმძღვანელები, მოსამსახურეები. აი მათი გვარებიც: გრ. თოფურიძე, ვ. ჩიქოვანი, პეტრე ებანოიძე, (უბნის ხელმძღვანელები); იოსებ სოლტინი (ავტოკოლონის უფროსი), იოსებ კერვალიძე, კოლია მაისურაძე. დავით და ალექსი ტერელუელი გრიშა ვაევოდა, მაქსიმე კაზანინი ბაბალე დიდებაშვილი, გოგლა გონგაძე, გოგლა ბერიძე, ილო აფციაური, გოგლა ფუნთუშაშვილი და სხვ.

ეჭვი არ არის, ტფილისის სატყეო - სამრეწველო მეურნეობის მუშაკები შეასრულებენ დარჩენილი თვეების პროგრამასაც.

ვალ. ბაბუცია

უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლ საქ. რესპუბლიკური შტაბის დადგენილება*)

მოისმინა რა უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლი საკავშირო შტაბის წევრის ამხ. ა. ი. ბლიუმის მოხსენება საქართველოში საგზაო მშენებლობისა და უგზოობის ლიკვიდაციის საკავშირო შეჯიბრების ხელშეკრულების რეალიზაციის შემმოწმებელ ბრიგადის მუშაობის შედეგთა შესახებ,— რესპუბლიკური შტაბი აღნიშნავს, რომ ბრიგადის მიერ 25 რაიონში 3,5 ათასი კილომეტრ გზის შემოვლისა და 15 რაიონში და ორ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამუშაოების დეტალურად გაცნობის შედეგად გამორკვეულია შემდეგი:

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკამ უკანასკნელ წლების მანძილზე საგრძნობ წარმატებებს მიაღწია საგზაო მშენებლობის გაშლის ხაზით, განსაკუთრებით საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი რესურსების მიზიდვის მხრივ (1931 წ. შრომითი მონაწილეობა ფულზე გადაყვანით გამოიხატა 3.650 ათას მანეთში, 1932 წ.—8.798 ათას მანეთში, ხოლო 1933 წ.—17.062 ათას მან.), რის შედეგადაც მიღწეულია სარაიონთაშორისო და შინასარაიონო გზათა ქსელის გადიდება და გაუმჯობესება. აშენებული და რეკონსტრუირებულია 2.800 კილომეტრი გზა, შექმნილი და განმტკიცებულია ძირეული აპარატი (რაისაგზაო განყოფილებები), რომელიც დამაკმაყოფილებლად არის უზრუნველყოფილი ტექნიკური პერსონალით. დამთავრებულია გზათა ძირეული ქსელის მიმაგრება სოფლებსა და კოლმეურნეობებზე, რაც უზრუნველყოფს სამუშაოების შემდგომ გაშლას. გზების მუდმივ მოვლისათვის და მუდმივი საგზაო საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობისათვის, ამ მიღწევებმა შექმნა წინაპირობა იმისათვის, რომ საქართველო გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად, მახლობელ წლებში მძლავრ, კეთილმოწყობილ გზათა ქსელის სწრაფი შექმნის მხრივ და უზრუნველყო 1934-35 წლებში უგზოობის ძირითადად ლიკვიდაციას.

ამასთან ერთად ადგილი აქვს შემდეგ ნაკლოვანებებს:

1. უგზოობის ლიკვიდაციის შესახებ დადებული საკავშირო სოცშეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ, უმრავლეს რაიონში ძირეულ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ არ არის დამუშავებული და დაყვანილი სოფლის მოსახლეობის ფართო მასებამდე, არასაკმაოდ არიან მობილიზებული საგზაო მუშათა ძირითადი კადრები და საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვადასხვა რგოლები მიღებული ხელშეკრულების კონკრეტული რეალიზაციისათვის საბრძოლველად.

2. საგზაო სამუშაოების გეგმის შესრულების მაღალმა რიცხობრივმა მაჩვენებლებმა, რაც მიღწეულია უმთავრესად მოსახლეობის შრომითი რესურსების გამოყენების გეგმის საგრძნობლად გადაჭარბებით შესრულებით, ვერ გამოიწვიეს რესპუბლიკაში კეთილმოწყობილ გზათა ქსელის შექმნა.

ა) შრომითი რესურსების არასაკმაოდ რაციონალური ათვისება, სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ხელმძღვანელობის უქონლობის შედეგად, რაც დაკავშირებულია უმეტესად მოსახლეობის მასობრივად გამოყვანის პერიოდულობასთან.

ბ) საგრძნობი დაუმთავრებელი სამუშაოები უკვე გაკეთებულ გზებზე (მილების, თხრილების და სხვ. უქონლობა).

გ) სუსტად არის დაყენებული არსებულ გზათა ქსელის მუდმივი მოვლისა და შეკეთების სამუშაოები.

დ) დამზადებულ საშენ მასალის ნელი ათვისება, რაც მნიშვნელოვნად დაკავშირებულია მექანიზაციის სიმცირესთან და სამანქანო მოქნილობის უქონლობასთან არსებულ მექანიზმების გამოყენებაში.

ე) დეფიციტურ საშენ მასალის გეგმიანი მომარაგების უქონლობასთან ერთად (ცემენტი, ლურსმანი, რკინა, ასაფეთქებელი მასალები), ადგილებზე არ არის გაშლილი შემოქმედებითი ინიციატივა შინა რესურსების მობილიზაციისა და დეფიციტურ საშენ მასალის ხარჯვის მაქსიმალურად განთავისუფლების მხრივ.

3. რესპუბლიკის საგზაო მექანიზმებით უაღრესად სუსტი მომარაგების პირობებში, არსებული მექანიზმები გამოყენებულია მეტად სუსტად:

ა) საგრძნობია სატკეპნი მანქანების გაცდენა (სამტრედიის რაიონში სატკეპნმა მანქანამ ნახევარი წლის განმავლობაში იმუშავა მხოლოდ 23 დღეს, ნახევარი წელიწადია არ იყენებენ სატკეპნ მანქანას საქგზატრანსის მე-7 უბანზე—ზუგდიდში).

ბ) ადგილი არ აქვს უმარტივეს საგზაო მექანიზმების დანერგვას (თხრილების ამოსალები, გრეიდერები, უთოები, პლენერები).

4. არ არის სისტემატური მუშაობა საინჟინერო-ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მუშაობა ძირეულ საგზაო აქტივის შესაქმნელად.

5. საგზაო მუშაკები მოკლებული არიან ხელსაყრელ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს:

ა) მთელ რიგ რაიონებში დიდია ხელფასის დავალიანება, რაც 5 თვეს აღწევს (საგარეჯო, თელავი, სამტრედია, ახალციხე, სტალინისი და სხვ.).

ბ) რაისაგზაო განყოფილებების ხელმძღვანელ საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების გაცილებით ცუდი მომარაგება, დანარჩენ სისტემის მუშაკების მომარაგებასთან შედარებით.

გ) რემონტიორების და გზის ოსტატების არაუზრუნველყოფა გზის მახლობლად მდებარე ბინებით, მიუხედავად სახლების არსებობისა ცალკე უბნებზე (ახალციხე, ახალქალაქი), მათ არ იყენებენ მათში საბინადრო მდგომარეობის უქონლობისა და მათთან მიწის ნაკვეთების უქონლობის გამო.

დ) გათანაბრების არსებობა გზის ოსტატების და რემონტიორების ხელფასში, სტაჟისა და კვალიფიკაციის ანგარიშგაუწევლად.

6. საქგზატრანსის მხრივ, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, არ არის დიფერენცირებული მიდგომა, თვითეულ რაიონისადმი (მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი, ავტონომიური რესპუბლიკები).

7. მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს დაუშვებელ დანაშაულებრივ მიდგომას საგზაო მეურნეობისადმი და საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის კანონის ძირითადი შინაარსის დამახინჯებას:

ა) ტრაქტორების მოძრაობა გზებზე მოუხსნელი კბილებით, (მახარაძის, საგარეჯოს, ზუგდიდის რაიონები, საბჭოთა მეურნეობა „უდაბნო“, ზუგდიდი და სხ.).

ბ) ცალკე სოფსაბჭოების ცალკე მუშაკების მიერ ხიდების ასაშენებლად და საგზაო ნაგებობათა ასაშენებლად დამზადებულ მასალების დატაცება (საგარეჯოს რაიონი).

გ) საგზაო ფონდების (საკომპენსაციო თანხები) დახარჯვა სხვა მიზნებისათვის, (საგარეჯოს აღმასკომი — საკომპენსაციო თანხებიით ავტომობილის შეძენა და გაფლანგვა. თელავის აღმასკომი—გაიტანეს საგზაო ფონდიდან 13 ათასი მანეთი. სტალინისის რაიონში—60.000 მან., ჩხოროწყუს რაიონში—15 ათასი მან., ახალციხისაში—18.768 მან., ტფილისის საგარეუბნოში — 10.000 მან.).

დ) მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის სხვა სამუშაოებზე გამოყენება, (ქუთაისის, თელავის და სხვ. რაიონები).

ე) ასეთ მოვლენებთან პროკურატურის მხრივ კონკრეტული ბრძოლის უწარმოებლობა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამის შესახებ საქ. ცაკის ა.-წ. 3 აპრილის დადგენილება.

8. ამასთან ერთად, ზოგ რაიონში ადგილი აქვს შემდეგ არაჯანსაღ მოვლენებს:

ა) ძალზე ჩამორჩება საგზაო მშენებლობის ფინანსირება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით (თელავის, საგარეჯოს და სხვ. რაიონებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ გაუციათ არაფერი).

ბ) აღმასკომების მხრივ ადგილი აქვს ტექნიკური ხელმძღვანელობის მნიშვნელობის შეუფასებლობას (მახარაძის, ბაშკიჩეთის, ყარაიას და სხვ. რაიონები).

გ) რაისაგზაო განყოფილებების ლიკვიდირება აჭარისტანში.

9. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამ.-სატრ.სადგურების სუსტი მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში.

10. არაჯანსაღი ურთიერთ დამოკიდებულება რაისაგზაო განყოფილებებსა და საქგზატრანსის უბნებს შორის (სიღნაღის უბნისა—სიღნაღის და ლაგოდეხის რაისაგზაო განყოფილებასთან, სამტრედიისა—ოზურგეთის განყოფილებასთან და სხვ.).

11. სუსტად არის გაშლილი მასობრივი მუშაობა საგზაო მშენებლობის გარშემო.

ა) საქგზატრანსის სისტემაში და შტაბთან არ მოიპოვება სპეც. პირი, რომელიც ეწეოდეს მასობრივ მუშაობას.

ბ) დაგვიანებით და არასაკმაოდ არის გაშლილი მუშაობა სოფსაბჭოების კონკურსთან დაკავშირებით საგზაო მშენებლობისათვის უკეთესი დახმარების გასაწევად.

გ) არ წარმოებს სისტემატური მუშაობა საგზაო მშენებლობის დამკვრელთა გამოსარკვევად, წასახალისებლად და აღსაზრდელად.

დ) არ არის საწარმოო გამოცდილების გაცვლა რაიონებს შორის, ჩვენება საუკეთესო რაიონებისა, სოფსაბჭოებისა, კოლმეურნეობებისა, ბრიგადებისა და საგზაო მშენებლობის ცალკეულ დამკვრელებისა.

ე) დაჯილდოების სისტემას არ იყენებენ ფართო მასების სამობილიზაციოდ, ზოგ რაიონში საპრემიო ფონდს საიდუმლოდ ინახავენ (აჭარისტანი).

12. საკმარისი არ არის საბჭოთა საზოგადოებრიობის დანარჩენი რგოლების დახმარება საგზაო მშენებლობისათვის:

ა) ავტოგზის ორგანიზაცია, უმრავლეს რაიონში, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არ არსებობს, ხოლო არსებული ორგანიზაციები ვერ შეჭრილან სოფელში, მათი დახმარება საგზაო მეურნეობისადმი შემთხვევითია და ისიც შაბათობების მოწყობით განისაზღვრება.

ბ) კომკავშირის ორგანიზაციები მცირედის გამონაკლისით სისტემატურ დახმარებას საგზაო მშენებლობას არ უწევენ და არასაკმარის მუშაობას აწარმოებენ ავტოგზის ორგანიზაციების გასაჯანსაღებლად.

გ) რესპუბლიკური პრესა, გაზ. „კომუნისტის“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ გარდა, საგზაო მშენებლობის საკითხებს არ აშუქებს. სარაიონო პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი საგზაო მშენებლობის საკითხებს აშუქებს ხანდახან, შემთხვევით. გაზეთები, რომლებიც თავის ფურცლებზე უთმობენ ადგილს საგზაო მშენებლობის საკითხებს, არ აწარმოებენ მასობრივ-ოპერატიულ მუშაობას (გამსვლელი რედაქციები, რეიდები და სხ.) და არ აყენებენ ახალ მაორგანიზებელი ხასიათის საკითხებს.

დ) მასობრივ მუშაობაში და საგზაო სამუშაოებზე მასობრივი გამოსვლების მომსახურებისათვის არ იყენებენ, როგორც ამას სოცშეჯიბრების ხელშეკრულება მოითხოვს, პროფკავშირებს, სახალხო განათლების, პოლიტგანათლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემებს, კოოპერაციას და სხვ.

ამის გამო რესპუბლიკური შტაბი წინადადებას იძლევა:

1. საქგზატრანსმა და რაიაღმასკომებმა აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა მშენებლობის დაქსაქსულობასთან, როგორც მაღალი კლასის, ისე ძირეული ქსელის გზებზე, ყველა ძალის, საშუალებისა და ყურადღების ისეთ გზებზე მიპყრობით, რომლებიც აკავშირებენ რესპუბლიკურ ცენტრებს ავტონომიურ და სარაიონო ცენტრებთან, ხოლო რაიონების შიგნით—სარაიონო ცენტრებს სოფსაბჭოებთან და სასოფ. სამეურნეო და ტექნიკურ კულტურების ძირითად ბაზებს რკინის გზის სადგურებთან და ჩაბარების პუნქტებთან; შეადგინონ ამ სამუშაოთა სატიტულო სიები მათი პირველ რიგობის გარკვევით, როგორც მაღალი კლასის, ისე ძირეული ქსელის გზების მიხედვით.

2. წელსავე მოსპონ ყოველგვარი დაუმთავრებელი სამუშაოები უკვე აშენებულ გზებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი, მთლიანი მოძრაობა.

3. აქვს რა უდიდესი მნიშვნელობა შუასაქართველოს (კახ.-ქართლ-იმერეთის) მაგისტრალური გზის შენებას, რაც შეიძლება მალე დამთავრებას, რომელიც უმთავრესად მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შენდება, აუცილებლად ჩაითვალოს ამ მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის, ზედამხედველობის და დახმარების საქ. ტრანსთან ერთ სპეციალურ ორგანოს, ან ერთი პირის ხელში მოქცევა. ეს მშენებლობა მიჩნეულ იქნეს, როგორც საცდელი, რომელიც ხორციელდება შრომითი მონაწილეობით, საბიუჯეტო თანხების მინიმალური დაბანდებით და მიღწეულ იქნეს სანიმუშო მაჩვენებლების, როგორც შრომის ორგანიზაციის დარგში ისე ამ გზის ხარისხისა და კეთილმოწყობაში.

მიღებულ იქნას ცნობად ამხ. ბლიუმის განცხადება, რომ ამ პირობებში გზატრანსის ცენტრალური სამმართველო (ძირეულ ქსელის და შრომითი მონაწილეობის სექტორი) და უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალური შტაბი გაუწევენ მას სათანადო მატერიალურ დახმარებას.

4. შრომითი მონაწილეობით წარმოებულ საგზაო მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების გაზრდის, ძირეულ ტექნიკურად მცოდნე აქტივის შექმნის და სამუშაოთა ხარისხის ამაღლების მიზნით, გაიშალოს მუშაობა კოლმეურნეობებში მუდმივ საგზაო ბრიგადების შესაქმნელად, რომლებიც შეასრულებენ დავალებას საგზაო მშენებლობაზე მთელი კოლმეურნეობის მიერ.

შტაბი წინადადებას აძლევს საქგზატრანსს დაუყოვნებლივ შეისწავლოს ბრიგადების მუშაობის გამოცდილება ლაგოდეხის რაიონში და საუკეთესოთა გამოცდილებას გადაიტანოს დანარჩენ რაიონებში. ამასთანავე საქგზატრანსმა მიწსახკომის პოლიტსექტორთან ერთად, ერთი თვის ვადაში დაამუშაოს ამ ბრიგადების ჩამოყალიბების წესი, ფორმები და მათი მუშაობის პირობები.

5. აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში რაიაღმასკომები წარმატებით ართმევენ თავს საგზაო მშენებლობას, მოეპოებათ მტკიცე საგზაო აპარატები, და დროულად იქნეს ცნობილი გზების მხრივ ყველაზე ძლიერ რაიონთა ჯგუფისათვის (კახეთი და სხვ.), ცდის სახით, რაიონების ფარგლებში, მაღალი კლასის გზების მომსახურების გადაცემა, მათ განკარგულებაში ტექნიკური კადრების, თანხების და მექანიზმების გადაცემით.

6. უმართებულოდ ჩაითვალოს რაისაგზაო განყოფილებების ლიკვიდაცია აჭარისტანში და წინადადება მიეცეს აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკის შტაბს დასვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე რაისაგზაო განყოფილებების აღდგენის შესახებ.

7. მექანიკური პარკის გამოყენების გაუმჯობესების მიზნით, დაევალოს საქგზატრანსს:

ა) სხვადასხვა რაიონში დაქსაქსულ მარტივ საგზაო მექანიზმებს თავი მოუყაროს ერთად და შექმნას რამოდენიმე მარტივი საგზაო-სამანქანო რაზმები.

ბ) აღრიცხოს საგზაო იარაღები, რომელთა გამოყენება საქართველოს პირობებში შეუძლებელია (მისაბმელი სატკეპნი მანქანები) და დაუბრუნოს გზატრანსის ცენტრალურ სამმართველოს, ამასთან დასვას საკითხი მათი საქართველოს პირობებში გამოსაყენებელ მანქანებით შეცვლის შესახებ.

გ) აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა მექანიზმების, განსაკუთრებით სატკეპნ მანქანების გაცდენასთან, მათი ისეთი რაიონებისა და უბნებისათვის ჩამორთმევით, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათი მუშაობის ნორმალურ კოეფიციენტს.

8. ძირეულ საგზაო აქტივის შექმნისა და სოფსაბჭოების საგზაო სექციების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, გაიშალოს მოკლევადიანი კურს-სემინარების (10—15 დღიანი) ქსელი, სოფლის საგზაო რწმუნებულთა და მუდმივ საკოლმეურნეო ბრიგადების ხელმძღვანელთა ორგანიზაციული და ტექნიკური კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ბლიუმის განცხადება, რომ ამ ღონისძიებათათვის გზატრანსის ცენტრალური სამმართველო და ცენტრალური შტაბი დოტაციის სახით მიმდინარე წელს გამოჰყოფენ 30 ათას მანეთს, საიდანაც 5 ათასს აფხაზეთისათვის, 4 ათასს აჭარისტანისათვის, 3.000 მან. სამხრეთ-ოსეთისათვის, 8 ათასს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისათვის და 10 ათასს მოწინავე რაიონებისთვის.

ამასთან ერთად წელს მოეწყოს ცენტრალური კურსები ყველაზე გამოჩენილ დამკვრელთა და საგზაო რწმუნებულთათვის, მათგან საგზაო ათის-თავების მოსამზადებლად; ამ მიზნისათვის საჭირო თანხების გამონახვა დაევალოს რესპუბლიკურ შტაბის მდივანს ამხ. ყაყიჩაშვილს და საქ. ავტოგზის თავმჯდომარეს ამხ. ბაგრატიონს.

9. დაისვას საკითხი სახკომსაბჭოს წინაშე, რაისაგზაო განყოფილების მუშაკების მომარაგების მხრივ გათანაბრების შესახებ,—რაისაგზაო განყოფილების გამგისა—რაიაღმასკომის სხვა განყოფილებათა გამგეებთან, ხოლო ინჟინერ-ტექნიკოსებისა — დანარჩენ დარგების ინჟინერ-ტექნიკოსებთან.

10. გზების მშენებლობის და მოვლა-შენახვის მხრივ სანიმუშო რაიონების შექმნისა, მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების გამოაშკარავების და გამოცდილების დაგროვების მიზნით, ცნობილ იქნეს აუცილებლად ყველაზე მოწინავე ექვსი რაიონის საგზაო მშენებლობის მხრივ საცდელ-საჩვენებელ რაიონებად გადაქცევა ამ მიზნისათვის გამოიყოს შემდეგი რაიონები: ლაგოდეხის, გურჯაანის, სენაკის, ქუთაისის, ზესტაფონის და მახარაძის რაიონები.

ამასთან ერთად გამოიყოს აგრეთვე ოთხი სოფსაბჭო: ჰილოხი (აფხაზეთში), კახაბერი (აჭარისტანში), ზნაური (სამხრეთ-ოსეთში), და ლიხაური (მახარაძის რაიონში).

მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ბლიუმის განცხადება, რომ ამ რაიონებში მუშაობის გაძლიერებისათვის ჯილდოს სახით ცენტრალური შტაბი გამოჰყოფს 25 ათას მანეთს ზესტაფონის რაიონისათვის, 25 ათასს წაღვერ-გუჯარეთის გზისათვის, 10 ათასს—ჰილოხ სოფსაბჭოსთვის და 5 ათასს დანარჩენთათვის. სულ 75 ათასი მანეთი.

11 მოეწყოს საწარმოო ექსკურსია გორკის მხარეში (ჩუვაშეთი, უდმურტია, მარიის ოლქი) 25 კაცის შემადგენლობით: 2 რაიაღმასკომის თავმჯდომარე, 2 სოფსაბჭოს თავმჯდომარე, 10 დამკვრელი კოლმეურნე, 5 რაისაგზაო განყოფილების მუშაკი (ინჟინერ-ტექნიკოსი), ავტონომიური რესპუბლიკების თითოეული, 1 პრესის წარმომადგენელი, 1 კომკავშირის წარმომადგენელი, 2 ავტოგზელი, 2 ინჟინერი საქ. გზატრანსიდან.

ამასთან ერთად წინადადება მიეცეს საქგზატრანსს ფართოდ აწარმოოს სარაიონთაშორისო საწარმოო ექსკურსიები.

მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ბლიუმის განცხადება, რომ საწარმოო ექსკურსიისათვის ცენტრალური შტაბი გასცემს 10.000 მანეთს.

12. აუცილებლად იქნეს ცნობილი რესპუბლიკურ შტაბთან, მის განკარგულებაში ორგ. მასობრივი ღონისძიებების გასატარებლად და საპრემიო ფონდების შესავსებად, დამოუკიდებელი ფულადი ფონდის შექმნა. წინადადება მიეცეს შტაბის შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციებს (ავტოგზის ც. საბჭო, პროფკავშირის ც. გამგეობა, „კომუნისტის“ რედაქცია) გამოჰყონ ამ მიზნისათვის სათანადო თანხები.

საქგზატრანსის კრედიტების მიხედვით არსებული: შრომითი მონაწილეობის საორგანიზაციო ხარჯებიდან, პრემიალური 40.000 მანეთი, დამკვრელ ერთთვიურების ჩასატარებლად 30.000 მანეთი და დოტაცია საკავშირო ბიუჯეტიდან საორგანიზაციო მასობრივი მუშაობისა და შრომითი მონაწილეობით წარმოებულ სამუშაოთა ასათვისებლად, გადმორიცხული და მომავალში შემოსული თანხები დახმარების წესით საკავშირო შტაბიდან,—გადაირიცხულ იქნეს რესპუბლიკური შტაბის განკარგულებაში.

13. აღნიშნავს რა, რომ შრომითი მონაწილეობის ნახევარი წლის გეგმა საქართველოში შესრულებულია 97,3 პროცენტით, ხოლო წლიური 47,7 პროცენტით, შტაბი აცხადებს, რომ ცალკე რაიონებმა მიაღწიეს ყველაზე მაღალ რიცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მოწინავე რაიონებად ითვლებიან: გურჯაანის, რომელმაც შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმა 1 ივლისისათვის შეასრულა 124 პროცენტით, ახალციხის—94 პროც., ონის—92 პროც., ლანჩხუთის—92 პროც., სიღნაღის—89 პროც., ლაგოდეხის—76 პროც., თელავის—70 პროც., აჭარისტანი—65 პროც., ცაგერის—76 პროც., ვანის — 91 პროც.

რესპუბლიკურ შტაბის და გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის გარდამავალი დროშა მიეცეს გურჯაანის რაიონს.

წინადადება მიეცეს ამხ. ყაყიჩაშვილს შტაბის შემდგომ სხდომაზე წარმოადგინოს, როგორც რაიონების მთლიანად, ისე ცალკე დამკვრელების დაჯილდოების პროექტი: გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის და აჭარისტანის.

მიუხედავად შრომითი მონაწილეობის გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლებისა, ჯილდოს მიღების ნება წაერთვას ამ ტურში მთლიანად შემდეგ რაიონებს: თელავისას, ახალციხისას და ვანისას საკომპენსაციო თანხების უმართებულო ხარჯვისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების უაღრესად სუსტი ათვისებისათვის; ონის და ცაგერის —რაიონებს—ჩამორჩენილობისათვის გეგმის სამუშაოთა ფიზიკური მოცულობის შესრულებაში, რაც შედეგია შრომითი რესურსების არარაციონალური გამოყენებისა და სამუშაოთა ნორმების დარღვევისა.

ამასთან ერთად შტაბი აღნიშნავს, რომ მიუხედავად შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმის შესრულების რიცხობრივი მაჩვენებლების არამაღალი პროცენტისა (35 პროც.), ზესტაფონის რაიონმა წლის პირველ ნახევარში მიაღწია დიდ წარმატებებს სამუშაოთა ფიზიკურ მოცულობის შესრულებაში, ახალ მშენებლობათა უაღრესად დამაკმაყოფილებელი ხარისხით და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებით.

მიღებულ იქნას ცნობად ამხ. ბლიუმის განცხადება, რომ ცენტრალური შტაბი თანახმაა გამოჰყოს საკავშირო ჯილდოები გურჯაანის და სიღნაღის რაიონებისათვის და აგრეთვე შემდეგ დამკვრელებისათვის. ამხ. **ტასო გელაშვილი** (ბორჯომის რაიონებიდან გლეხი ქალი, ქალთა ორგანიზატორი საგზაო სამუშაოებზე), სამი ძმა **დოლიძეები** (სოფ. კახაბერი, აჭარისტანში), **ბებურ გორგოშიძე** (სოფ. ლიხაური, მახარაძის რაიონი), **ბიძინა ფურცხვანიძე** და **მაქსიმე კვერნაძე** (ქუთაისის რაიონიდან), **ვანო აბულაძეს, სეფორა სამხარაძეს** და **გუგული კუხიანიძეს** (ზესტაფონის რაიონიდან).

რესპუბლიკური შტაბი ფიქრობს, რომ საქართველოში უგზოობის ლიკვიდაციის ამოცანა ორი წლის განმავლობაში შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ როგორც საგზაო ორგანოების უაღრესად დაძაბული მუშაობის პირობებში, ისე კარგი გზისათვის ბრძოლაში საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა რგოლების კონკრეტული მონაწილეობით.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს უგზოობის ლიკვიდაციის სოციალისტურ ხელშეკრულებას, რომელიც არკვევს მოქმედების კონკრეტულ პროგრამას საგზაო მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ამიტომ შტაბი ავალებს საქგზატრანსს, საქ. ავტოგზას, საქ. ალკკ ც. კ-ს რკინის გზების და გზატკეცილების მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობას და „კომუნისტის“ რედაქციას,—ორი დეკადის ვადაში დასახონ კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება მშრომელთა ფართო მასების შორის ხელშეკრულების პოპულარიზაციისა და ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა რეალიზაციისაკენ და წარმოუდგინონ დასამტკიცებლად შტაბს.

ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ყველა სარაიონო შტაბებს წინადადება ეძლევათ ეს დადგენილება დაამუშაონ თავის სხდომებზე და რაიონის საგზაო აქტივს შორის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფენ საგზაო მშენებლობის გეგმების შესრულებას და უგზოობის ლიკვიდაციის სოცშეჯიბრების წარმატებით მიმდინარეობას.

უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლი რესპუბლიკური შტაბის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლი რესპ. შტაბის მდივანი: **დ. ყაყიჩაშვილი.**

ტფილისი.
22 აგვისტო, 1934 წ.

---

*) უგზობის წინააღმდეგ მებრძოლ საკავშირო შტაბის ბრიგადამ, ამხ. ბლიუმის ხელმძღვანელობით, თავისი მუშაობის დამთავრების შემდეგ, გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში მოიწვია უგზობის წინააღმდეგ მებრძოლ ს. რ. შტაბის სხდომა, ამ სხდომაზე ბრიგადის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბლიუმი. ეს დადგენილება მიღებულია ამ მოხსენების მიხედვით.

სიგნალები ადგილიდან

სილოსი უპატრონოდ

გალის რაიონში წელს 825 ტონა საკვები უნდა დასილოსონ. საამისოდ 67 ჰექტარზე სიმინდი აქვთ დათესილი. სილოსისთვის უნდა ააშენონ 4 კოშკი თითო 200 ტონა ტევადობით.

მშენებლობის ვადა გავიდა, სასილოსე ნათესებიც მწიფდება და დღეს თუ არა ხვალ უნდა გაითიბოს, სასილოსე კოშკების აგება ჯერ დაწყებულიც კი არ არის.

კიდევ მეტი, საშენი მასალა (ცემენტი, აგური) დღემდე მხოლოდ 1 სასოფლო საბჭოს აქვს წაღებული.

არც სილოსსაჭრელი მანქანების მომზადებისათვის ზრუნავენ, 4 მანქანა, რომელიც რაიონს გასულ წელს ჰქონდა, ძალიან დაზიანებულია და კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. ეს მანქანები თვეზე მეტია სამ. სატრაქტორო სადგურში აწყვია, მაგრამ შეკეთებაზე არავინ ფიქრობს.

ერთი თვის წინად რაიონმა დამატებით მიიღო 2 ცალი სილოსსაჭრელი. ეს მანქანები დღემდე რკ. გზის სადგურზე ყრია ღია ცის ქვეშ და იჟანგება.

არც სილოსის მჭრელზე მომუშავეთა მომზადებაა დაწყებული.

ა. მასხულია.

თვალისამხვევები და თვალახვეული

— „ციტრუსოვან პლანტაციების მესამე თოხნა დავამთავრეთ, პლანტაციები საუკეთესოდაა მოვლილი — სწერენ ქობულეთის რაიმიწგანს სოფ. ლიდვას სას. საბჭოს თავმჯდომარე ხ. გოგიტიძე და აგრონომი სანთელაძე.

ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ რაიმიწგანის გამგე ურუშაძემ კმაყოფილებით გაიღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ხ. გოგიტიძე და სანთელაძე ნამდვილი ოქროს ბიჭები არიან. ორი იმდენი გეგმაც რომ მოგვცეთ მაინც არ შეგვრცხვებოდნენ. ურუშაძეს აზრადაც არ მოსვლია, რომ მას „გააცურებენ“.

რაიმიწგანი კარგს კი იზამდა, რომ ამ „ოქროს ბიჭების“ ცნობები ხანდისხან შეემოწმებინა. მაშინ იგი დარწმუნდებოდა, რომ გოგიტიძე და სანთელაძე მას თვალებს უხვევენ, რომ პლანტაციების მესამე თოხნა კი არა, მეორე თოხნაც არ არის ხეირიანად ჩატარებული, რომ აგრორწმუნებულ შარაშიძის, დურსუნ ზოიძისაგან, ო. ანანიძის პლანტაციებში სარეველა ბალახი უფრო მაღალია ვიდრე მანდარინის ნერგი; რომ ციტრუსების შესხმელა, რომელიც 1 აგვისტოსათვის უნდა დამთავრებულიყო, 10 აგვისტოს მხოლოდ 22 პროცენტით იყო შესრულებული.

საერთოდ აჯობებდა, რომ ქობულეთის რაიმიწგანის გამგე პირადად ეცნობოდეს მდგომარეობას ადგილზე და მარტო „პატიოსან სიტყვებით“ არ კმაყოფილდებოდეს.

ა. ჰიქლია.

აირეული რუხაძე

ახირებული კაცია საქართველოს სასელექციო სადგურის (სოფ. ახალუბანშია) ხელმძღვანელი ამხ. რუხაძე. 14 საათს ამუშავებს თითოეულ მუშას ლობიოს და სიმინდის თოხნაზე და ხელფასს ისე ანაწილებს როგორც მას მოესურვება.

ზოგიერთ მუშას დღეში 10 მანეთს აძლევს, ზოგს 6 მან., ზოგს კი 7 მანეთს, მაგრამ რომელი მუშა მეტსა და უკეთესად მუშაობს არავინ იცის.

— როცა მუშა-ხელის სიმცირეა მაშინ მეტს ვაძლევ ხელფასს, როცა მუშები საკმარისია მაშინ ნაკლებსო. ასე იმართლებს თავს ამხ. რუხაძე, როცა მას შეეკითხებით ამ არანორმალური მდგომარეობის შესახებ.

სანარდო სისტემის ნაცვლად აქ შემოღებულია „[illegible]“ წესით მუშაობა. არ არის გამომუშავების ნორმები. ამის გამო თითოეული ჰექტარი ლობიოს და სიმინდის გათოხნა 100 მანეთიდან 140 მანეთამდე ჯდება. ადგილი აქვს მუშათა დენადობას. მთელი წლის განმავლობაში რუხაძეს არც ერთი კაპიკი არ მიუცია პროფკავშირისათვის მუშათა შორის კულტურული მუშაობის (გაზეთი, კინო, რადიო და სხვ.) გასაშლელად. არც ერთი მუშა არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სასელექციო სადგურის მიზანია ხელი შეუწყოს მინდვრის კულტურათა მაღალხარისხოვანი, მოსავლიანი ჯიშების შერჩევას და მის გაუმჯობესებას. ეს მეტად დიდი და სერიოზული საქმეა. მაგრამ ასეთი უხეირო „მუშაობით“ შეუძლებელია ამ ამოცანების წარმატებით შესრულება.

საქართველოს მიწსახკომში ალბათ ამაზე არაფერი იციან.

ი. ჟანტურია.

„პურის სპეკულიანტები ჯუგაანიდან“

„კომუნისტის“ 6 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია „პურის სპეკულიანტები ჯუგაანიდან“, რომელიც შეეხებოდა პურის დამზადების კანონის დამახინჯებას.

საქ. კ.პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში გამოყენებული ცნობები დადასტურდა და დამნაშავე ჯუგაანის სას. საბჭოს თავმჯდომარე მ. ელიზბარაშვილი მოხსნილია თანამდებობიდან.

სად დაიკარგა სწავლის ფული?

(სტუდენტის წერილი)

ნიგვზიანის (ლანჩხუთის რაიონი) ფოსტა, ჩემზე აშკარად გამწყრალია. გასული წლის აგვისტოში მისი საშუალებით ტფილისში,—დაუსწრებელი პედინსტიტუტის სახელზე, სადაც მე მსმენელად ვირიცხები, სწავლის ქირა 28 მან. გადმოვგზავნე. მიმდინარე წლის იანვარში გამოირკვა, რომ ეს ფული პედინსტიტუტს არ მიუღია.

რას ვიზამდი?!

რომ არ გამოვერიცხეთ, გადავწყვიტე მეორედ გადამეხადა სწავლის ფული.

25 იანვარს ისევ ფოსტით გადავგზავნე იმავე ინსტიტუტის სახელზე 42 მან. ხოლო [illegible] თუ არა ტფილისში, ექვსი თვის შემდეგ, გამოცდების ჩასაბარებლად ინსტიტუტის ადმინისტრაციამ გამომიცხადა, — სწავლის ქირა თქვენგან არ მიგვიღიაო. აქაც იძულებული გავხდი მეორედ გადამეხადა ფული. დაბრუნების შემდეგ მივმართე ნიგვზიანის ფოსტას, მიზეზების გამოსარკვევად. ფოსტის გამგემ მიპასუხა:

— მე გავაგზავნე და სხვა არაფერი მეკითხება (!?!), მიმართეთ ტფილისს.

ტფილისის ფოსტამაც მოკლედ მიპასუხა:

— ფული არ მიგვიღიაო.

ერთი სიტყვით, მე ვერ ამოვიჩინე კონკრეტული დამნაშავე.

იქნებ ახლა მაინც მომაქციონ ყურადღება კავშირგაბმულობის ორგანოებმა და პროკურატურამ! იქნებ ახლა მაინც გამორკვიონ სად დაიკარგა პროლეტარული სტუდენტის ფული!

დაუსწრებელი პედინსტიტუტის მე-2-რე კურსის სტუდ. ის. მოისწრაფიშვილი.

ზარალ იოხჯერ...

ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგური ამზადებს კადრებს ბამბის მექანიკურად აღებისათვის.

სურათზე: კურსანტები ეცნობიან ტურმან ვაკუმით მუშაობის წესებს.

— მადლობა ღმერთს, ჩინებულათ მოეწყო საქმე!—ისეთი დამშვიდებით ჩაილაპარაკა **ლიუქსემბურგის** რაიმიწგანის გამგემ ი. ესაიანმა, თითქო მას 10 ფუთიანი ტვირთი მოხსნეს ზურგიდანო.

ეს იყო საგაზაფხულო თესვის წინ, როცა რაიკომის ბიურომ დაადასტურა თვითეულ სოფელზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ მუშაკების სია.

— ისეთი ბიჭებია სოფლებზე მიმაგრებული, რომ ვარსკვლავებს ითამაშებიან. განსაკუთრებით კარგად მოეწყო სოფელ არახლოს საქმე. მართალია იქ ბამბა შედარებით მეტი—167 ჰექტარი ითესება, მაგრამ ნახეთ რა ბიჭები არიან ამ სოფელზე მიმაგრებული?—რაიაგრონომი მირაქოვი, სარწყავი წყალის განაწილების უფროსი შ. ახვერდოვი, მავნებლებთან ბრძოლის ინსტრუქტორი რაიმოვი. ახლა იქაური მუშაკები ნახეთ: სოფსაბჭოს თავმჯდომარე ოსმან ეიუბოვი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯალილ ოსმანოვი, პარტორგანიზატორი ისმაილ ალიევი.

— ესენი გაუჩინარს გააჩენენ და გეგმის შესრულება ან მაღალი მოსავლის მოწევა მათთვის ხომ სულ უბრალო საქმეა.

ეს რწმენა ესაიანს გაუორკეცდა, როცა აპრილის დამლევს მიიღო ცნობა, რომ სოფელმა არახლომ ბამბის თესვის გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. ესაიანმა გადაწყვიტა, რომ არახლოელი ამხანაგები. საქმეს თვითონაც კარგად უძღვებიან და მისი ჩარევა, ან კონტროლი, ან შემოწმება საჭირო არ იქნება.

სოფელ არახლოზე მიმაგრებული ამხანაგები და ადგილობრივი მუშაკები პირველ ხანს მართლაც ფხიზლობდნენ და დღედაღამ ქორივით დატრიალებდნენ საქმეს.

გავიდა დღეები. ნათესები ამწვანდა. ბამბაში პირველი თოხნაც გაატარეს. მაგრამ მიმაგრებულ ამხანაგებს და ადგილობრივ მუშაკებს ახლა უკვე აღარ ემჩნეოდათ ის ცეცხლი, რომელიც პირველ დღეებში წვავდა. ისინი თანდათან მოდუნდნენ და უკვე თავს არიდებდნენ საქმეს.

მაისი ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, რომ კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა გლეხებმა ბამბაში მავნებელ „ჩორის“ ნიშნები შეამჩნიეს, რაც მაშინვე აცნობეს სოფსაბჭოს თავმჯდომარე ეიუბოვს.

— ნადეირსან იოლლაშ! ნუთუ მართლა „ჩორი“ გაჩნდა“ რავქნა რომ მე არ მცალია. საგზაო მშენებლობა, თათბირები, მოხსენებები, რეზოლუციებისა და დადგენილებების წერა... არა, ბამბისთვის ველარ მოვიცლი. მაგრამ, ზარალ იოხტურ! წადით პარტორგანიზატორთან და ჩემ მაგიერათ უთხარით, რომ სასწრაფო ზომები მიიღოს.

პარტორგანიზატორიც „დატვირთული“ აღმოჩნდა. „დატვირთული“ აღმოჩნდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეც, რაიაგრონომიც, მავნებლებთან ბრძოლის ინსტრუქტორიც და სარწყავი წყალის განაწილების უფროსიც.

ისინი ერთიმეორისაკენ იშვერდნენ ხელს და ჩრდილში წამოწოლილი „შირინ ჩაის“ შეექცეოდნენ.

ასე გადიოდა დრიები. „ჩორი“ კი თავის საქმეს აკეთებდა.

რაიმიწგანის გამგე ესაიანი დამშვიდებული იჯდა ლიუქსემბურგში და ჯეროდა, რომ არახლოელი „ალმასივით ბიჭები“, ხელებ [illegible] ბული ტრიალებდნენ მინდვრად, დიდი [illegible] თავს და მასაც ასახელებენ.

„ალმასივით ბიჭებმა“ კი ბამბა სულ მიივიწყეს. ყურიც არ ათხოვეს იმ ამბავს, რომ კოლმეურნეები კაჩაი მუსა ოღლი, ემილ ისმაილ-ოღლი, ახმედ ასან-ოღლი, ისა ისმაილ-ოღლი და სხვები შრომის დისციპლინას არღვევენ ბამბაზე სამუშაოდ არ გამოდიან და მუშაობაზე სხვებსაც გულს უცრუებენ.

წაუყრუეს იმას, რომ ერთპიროვნულმა გლეხებმა უმბათ ჯალალოღლიმ, ქერიმ ბაირამოღლიმ, ჯალალ ფაშაოღლიმ, ბალდაშარ აბდულ ოსმანოღლიმ, ჯალილ ისმაილოღლიმ და სხვ. დაუმუშავებელი და მოურწყავი მიატოვეს 4,5 ჰექტარი ბამბა და მთაში წავიდნენ საგარაკოდ.

არაფრად მიიჩნიეს ის რომ მერუე (სარწყავი წყალის გამნაწილებელი) შამილ ალახვერდ ოღლიმ გახურებულ მუშაობის დროს 10—13 აგვისტომდე მიატოვა სამუშაო და თბილისში სეირნობდა.

ყველაფერ ამას გულგრილად უყურებდნენ როგორც ადგილობრივი მუშაკები, ისე მიმაგრებულები.

ჩორი გაძლიერდა. მოურწყველი და მოუვლელი დარჩა ათეული ჰექტარები.

კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ გლეხებში გაზრდა მითქმა-მოთქმა, რომ ბამბის ნათესების დიდი ნაწილია განადგურებული.

ეს ხმები მიმაგრებულებმა და ადგილობრივებმაც „გაიგეს“. საბჭოს თავმჯდომარე ეიუბოვს და მავნებლებთან ბრძოლის ინსტრუქტორ რაიმოვს ფერმა გადაკრა.

ხმამ რაიმიწგანამდეც მიაღწია. ამუშავდა ტელეფონი...

— რამდენი ჰექტარია დაღუპული, მართლა ოცდაათი?—ეკითხება ესაიანი.

— რასა ბრძანებთ, განადგურებული კი არა ოდნავ დაზიანებულია (!) 15—18 ჰექტარამდე, დარცხვენილად და შიშნარევი ხმით უპასუხებს სოფსაბჭოს თავმჯდომარე ეიუბოვი.

მეორე დღეს რაიკომის მიერ გამოგზავნილმა კომისიამ გამოარკვია, რომ განადგურებულია არა 15—18, არამედ 62,5 ჰექტარი ბამბის ნათესი.

სოფელ არახლოს მესვეურებსა და ამ სოფელზე მიმაგრებულ ბამბის დედინაცვლებთან ერთად ლიუქსემბურგის რაიკომის კომისიასაც, რომ არ დაგვიანებოდა, იქნებ მოხერხებულიყო ბამბის ნათესების გადარჩენა.

შ. ქაფიანაძე

აღარ ჩანს შავი დაფის კანდიდატები

(ჩაქვი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელებმა გაამართლეს დაპირება წლიური გეგმის მთლიანად და ვადაზე ადრე შესრულებით. 12 აგვისტომდე ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ მისცა ქვეყანას **287.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი**, ეს კი წლიური გეგმობრივი ვარაუდის მთელი რაოდენობაა.

მეურნეობის სამკუთხედის და მთელი მუშათა კოლექტივის გულისყური მიეპყრო იმას, რომ პირველობა მოეპოვებიათ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. ძალთა სწორი განაწილებით და ოპერატიული ხელმძღვანელობით ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ მიაღწია ყველა თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოება, რომ **ჩაბარებული ფოთლის 98 პროც. პირველი ხარისხისაა.**

ჩაქვის მხოლოდ ერთი ხუთდღიური ქონდა, როცა მან ვერ შეასრულა გეგმები, ეს იყო აგვისტოს პირველი ხუთდღიური. ამ პერიოდში იქ დღიურად მხოლოდ 1600—2000 კილოგრამი ფოთოლი იკრიფებოდა. ეს ჩამორჩენა სწრაფად გამოსწორდა. მუშაობა არ შენელებულა წვიმიან ამინდებშიც.

დასრულდა წლიური გეგმისათვის ბრძოლის პირველი ტური. გრძელდება ბრძოლა მეორე ბრწყინვალე მაჩვენებლების მისაღებად.

ჩაქვი კისრულობს ვალდებულებას დამატებით მისცეს ქვეყანას 70 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ ვალდებულებიდან 16 აგვისტოსათვის უკვე მოკრეფილია 14 ათასი კილოგრამი ჩაი.

ივნისში გამარჯვება ხვდა პირველ რაიონს; მეურნეობის გარდამავალი დროშა მას ერგო. გეგმის ყველა მაჩვენებლის საუკეთესო შესრულებისათვის ივლისში დაწინაურდა მეორე რაიონი და დროშაც მან მოიგო.

აღარ ჩანან შავი დაფის კანდიდატები. ყველა ბრიგადა ასრულებს გეგმას. ზოგი მათგანი არ კმაყოფილდება მარტო გეგმიანი დავალებების შესრულებით. იბადება სურვილი, რომ მიაღწიონ 20—30 პროც. გეგმაზე გადაჭარბებას. ამ ამოცანას თითქმის ყოველდღიურად ანხორციელებენ ესაძის, გიგინეიშვილის, მახმანიანის და ფანცულაიას ბრიგადები.

—:—

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის განკარგულებაში 1250 ჰექტარია. ამ ფართობის ნახევარი ჩაის უჭირავს. პლანტაციის დანარჩენ ნაკვეთებზე ხარობს მანდარინა, ლიმონი, ბამბუკი, ტუნგო და სხვა მრავალნაირი დეკორატიული მცენარეები. მეურნეობის მთელი კოლექტივის და მისი ხელმძღვანელობის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არც ერთი წუთით არ შეანელოს ბრძოლა ჩაისა და ციტრუსოვანთა შემდგომი განვითარებისათვის.

ვ. ჟურული

საბჭოთა კანონები სავალდებულოა საფინანსო ორგანოებისთვისაც

(ყაზბეგი, ჩვენი სპეც. ბრიგადისაგან)

ანდეზიტის წარმოებას სახელმწიფო ბანკის მართებს 1.476.000 მანეთი. სახკომსაბჭოს ა.-წ. 4 ივნისის დადგენილების თანახმად, ეს ვალი გადასახდელად გადადებულია 1935 წლამდე. მიუხედავად ამ დადგენილებისა, სახბანკის ყაზბეგის განყოფილების გამგემ ამხ. ყვანსკიმ ანდეზიტის დირექციის დაუკითხავად ჩამოაწერა წარმოებას 23500 მანეთი აღნიშნული ვალის ანგარიშში.

გარდა ამისა სახბანკის ყაზბეგის განყოფილებამ ჩამოაწერა წარმოებას 15.000 მანეთი და გადაურიცხა „ურალხიმსტროის“—ის იმ დროს, როცა ანდეზიტის წარმოებას გასწორებული ქონდა ანგარიში „ურალხიმსტროისთან“.

ამრიგად. სახბანკის ყაზბეგის განყოფილების უთავბოლო მუშაობის შედეგად ანდეზიტის წარმოების სამოქმედო თანხას მოაკლდა 38.500 მანეთი, რამაც საგრძნობად შეაფერხა წარმოების ნორმალური მუშაობა და საწარმოო გეგმების შესრულება.

თანახმად მომქმედ კანონისა (ადგილობრივი ფინანსების დებულების მესამე მუხლი, პუნქტი „6“, მეოთხე შენიშვნა) საცხოვრებელი შენობები, რომლებიც აგებულია საწარმოთა მიერ მათთვის გადაცემულ მიწებზე, თავისუფლდებიან შენობებზე დაწესებულ გადასახადისაგან დღიდან შენობის აგებისა სამი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ დღიდან ანდეზიტის წარმოების საცხოვრებელი ბინების აგებისა არ გასულა სამი წელი, ყაზბეგის რაიფინგანის გამგემ ამხ. გრ. დოლიძემ დირექციის დაუკითხავად ჩამოაწერა წარმოებას 13.200 მანეთი საცხოვრებელი ბინების გადასახადის ანგარიშში.

ყაზბეგის რაიონის საფინანსო ორგანოების ასეთ ბიუროკრატიულ მოქმედებას ბოლო უნდა მოეღოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა პირებსა და ორგანიზაციებზე ირიცხება ანდეზიტის წარმოების 41.840 მანეთი,—რომლის განაღდება დღემდე ვერ შესძლო ანდეზიტის წარმოებამ. რაიონის სათანადო ორგანიზაციების დახმარებით ადმინისტრაციამ უნდა მოახერხოს ახლო მომავალში დასახელებული ვალის განაღდება. რაც ნაწილობრივ გააუმჯობესებს წარმოების მდგომარეობას.

გ. სადუნიშვილი
ს. დათეშიძე

პასუხი უნდა მოეთხოვოს

ბოლშევიკური პრესის გავრცელებას დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რაიონის საგაზეთო ბიუროს ზოგიერთი მუშაკების უხეირო მუშაობის გამო გაზეთის გავრცელებას ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ფაქტები: მარტვილის რაიონში გეგმით უნდა გავრცელებულიყო გაზ. „კომუნისტი“ 1300 ცალი და „ახალგაზრ. კომუნისტი“ — 500 ცალი, მაგრამ საგაზეთო ბიუროს გამგის პარმენ ჭილაიას დაუდევრობით გავრცელებულ იქნა „კომუნისტი“ მხოლოდ 884 ცალი და 116 ცალი „ახ. კომუნისტი“.

აგვისტოსთვის ამხ. ჭილაიამ შეაგროვა კოლმეურნე გლეხებისა და სხვა პირებისაგან ფული 1300 ცალი გაზეთისთვის, — სინამდვილეში კი გამოწერილია მხოლოდ 175 ცალი გაზეთი. დანარჩენი ფული ჭილაიამ მიითვისა. კოლმეურნე გლეხები ამ ამბით მეტად აღშფოთებულნი არიან და მოითხოვენ ჭილაიას დასჯას.

გურჯაანის [illegible] კოლექტივს გამოწერილი აქვს ერთი წლით გაზეთები: „კომუნისტი“ და „მუშა“. მას აგრეთვე როგორც შეფს, ამავე ხნით გამოწერილი აქვთ სოფ. ვეძინის კოლმეურნეობისათვის გაზ. „კომუნისტი“, „მუშა“ და „კოლექტივიზაცია“. მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთებს ღებულობენ მხოლოდ ერთი და ორი კვირის დაგვიანებით, რითაც მკითხველებს საშუალება ესპობათ ყოველდღიურად ახალი გაზეთების საკითხავად.

როდესაც მიმართავენ ადგილობრივ ფოსტის გამგეს, თუ რატომ იგვიანებს მათი გაზეთები, იგი შეკითხვაზე გარკვეულ პასუხს არ იძლევა, და არც თავს იწუხებს ამისთვის.

მოვითხოვთ ამ უმსგავსოებათა ამოსაფხვრელად გადამჭრელ ზომების მიღებას.

კ. გ—ლი.

რამდენი მოიგო ჩემმა ობლიგაციამ?

გასული წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ქ. ჭიათურის შემნახველ სალაროში გასასინჯად და გადასაცვლელად მივიტანე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია სერია 048.878 № 01. გამოირკვა, რომ ობლიგაციას მოუგია, მაგრამ რამდენი—სალაროში ვერ მითხრეს, ვინაიდან ოფიციალური ცხრილი სალაროს დაკარგული აღმოაჩნდა. გამგზავნეს ზესტაფონის სალაროში. მაგრამ ცხრილი არც იქ აღმოჩნდა. ზესტაფონიდან ქუთაისს მივაკითხე, მაგრამ ამაოდ: ცხრილი არც იქ ქონდათ. ქუთაისის სალაროში მომცეს უმცირესი მოგება და დამპირდნენ, რომ ობლიგაციას შემოწმებენ და, თუ მოგება მეტი აღმოჩნდებოდა, განსხვავებას გადმომიგზავნიდნენ ჭიათურაში.

7 თვე გავიდა, მაგრამ ცნობა ქუთაისის შემნახველ სალაროდან ჯერაც არ მიმიღია.

ივლისში, როცა ტფილისში ვიმყოფებოდი, მივმართე მეოთხე რაიონის შემნახველ სალაროს; პასუხი ვერ მომცეს და შემნახველ სალაროების სამმართველოზე მიმითითეს.

სამმართველოში ველაპარაკე თანამშრომლებს ამხ. კალანდარიშვილს და ფოცხიშვილს და ბოლოს სამმართველოს უფროსს ამხ. შონიას. გადაჭრილი პასუხი ვერც ერთმა ვერ მომცა, ვინაიდან ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ტირაჟების ცხრილი მათთაც არ ჰქონდათ.

აღარ ვიცი ამის შემდეგ, ვის მივმართო. რას გავს ეს! განა ეს არის სესხის ობლიგაციების მქონეთა მომსახურება?

ბ. ლაბაძე

მუშაობა უფრო უნდა გაძლიერდეს

(ტფილისი, ლენინის რაიონი)

ლენინის რაიონმა განათლების განყოფილებათა რესპუბლიკურ კონკურსში ჩაბმის შემდეგ საგრძნობლად გააცხოველა ახალი სასწავლო წლის მზადების ტემპები. პირველ ხანებში მზადება არ იყო დამაკმაყოფილებელი. განათლების განყოფილების ყოფილმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო სასწავლო წლის მზადების პირობების მთლიანად შესრულება. მაგრამ მას შემდეგ, რაც რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა განახლდა, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. რაიონმა 15 აგვისტოსთვის ძირითადად დაამთავრა სკოლების ახალი სასწავლო წლისთვის მოსამზადებელი სამუშაოები.

როგორც შემმოწმებელ სარაიონო კომისიის წინასწარი შემოწმების მასალებიდან ირკვევა, უკვე შეკეთებული სკოლები ხარისხის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევიან: დამაკმაყოფილებლად შეკეთებულია მხოლოდ მე-30 და მე-68 სკოლა. ხოლო დანარჩენი: მე-6, ქალაქის მეათე, მე-29, მე-32, რკინისგზის მეათე და მე-8 სკოლა შეკეთებულია კარგად და ფრიადად.

წელს ამ რაიონში სკოლების შეკეთებას სარემონტო ტრესტი აწარმოებდა. თუმცა ტრესტმა დაკისრებული საქმე პირნათლად და ხარისხის დაცვით შეასრულა, ტრესტსა და სკოლის დირექტორებს შორის ერთგვარ უკმაყოფილებას მაინც ჰქონდა ადგილი. საქმე ისაა, რომ ტრესტი კისრულობდა მხოლოდ იმ სამუშაოთა შესრულებას, რომელიც წინასწარ გეგმით იყო ნავარაუდევი, ხოლო დანარჩენ წვრილმან სამუშაოებზე უარს აცხადებდა იმ მოტივით, რომ შეიძლება საამისო გასამრჯელო სკოლებისაგან ვერ მივიღოთ. ამის გამო ტრესტის მიერ სკოლების შეკეთების დამთავრების შემდეგ თვით სკოლის დირექტორებს მოუხდათ წვრილმანი შეკეთების წარმოება. ამიტომ სრულიად სამართლიანია ზოგიერთი სკოლის დირექტორის მოთხოვნა: მასალადამე, რაც სკოლის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია, მისი შესრულებისათვის თვით დირექტორი იყოს პასუხისმგებელიო.

გარდა ამისა, რაიონმა დიდი მუშაობა ჩაატარა პოლიტექნიკური სახელოსნოების მექანიზაციის დარგში. გარდა მე-6 და რკინისგზის მე-10 სკოლისა, რაიონის სკოლების ყველა სახელოსნო მექანიზირებულია. ამ საქმეში ხელისშემშლელი იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გამოუყენებლობა. ამაში დამნაშავეა საფინანსო განყოფილება, რომელიც სახსრების სიმცირის მომიზეზებით აგვიანებს თანხების დანიშნულებისამებრ გადარიცხვას. ამიტომ განათლების განყოფილებამ ვერ აითვისა სასკოლო კაბინეტებისა და ინვენტარისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული 39.710 მან. და მოწაფეთა და მასწავლებელთა ცხელი საუზმით უზრუნველსაყოფად გადადებული 20.602 მან. ეს გარემოება სერიოზულ საფრთხეს უქმნის სკოლების შეძენილი და სრულქმნილი კაბინეტებით მომარაგებასა და მასწავლებელთა და მოსწავლეთა ცხელი საუზმით უზრუნველყოფას.

რაიონს 10 აგვისტოსთვის დამთავრებული ჰქონდა მასწავლებელთა შემოწმება-გადაჯგუფება. მოხსნილ იქნა ათი სუსტი და უდისციპლინო მასწავლებელი. ძირითადად მოთავებულია მასწავლებელთა დანიშვნა, ძველი სასწავლო გეგმის მიხედვით გაკვეთილების განაწილება და სხვ.

სუსტადაა გაშლილი მუშაობა სასკოლო შენობებიდან კერძო მდგმურების გასასახლებლად. დღემდე მხოლოდ 5 საკლასო ოთახია განთავისუფლებული, როცა ამ რაიონის მე-8 სკოლაში 5 კერძო მდგმურს 7 ოთახი უჭირავს, მე-29 სკოლის 13 ოთახი 8 მდგმურს აქვს დაკავებული და სხვ.

რკინისგზის მე-10 სკოლის ფიზიკის და ქიმიის კაბინეტების ოთახებს შუა შეჭრილია ორი მდგმური, რომელთაც სამი ოთახი უჭირავთ და ამის გამო მოწაფეებს კაბინეტებში ნორმალურად მეცადინეობა არ შეუძლიათ. სასკოლო შენობებიდან კერძო მდგმურების გასასახლებლად, როგორც რაიონში აცხადებენ, ბევრი რამის გაკეთება არ არის მოსალოდნელი. საჭიროა კია, რომ ამ საქმისათვის რაიონის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება მიაქციოს.

სასწავლო წლის სრული მზადყოფნით შესახვედრად ჯერ კიდევ საკმაო მუშაობაა ჩასატარებელი. საჭიროა დარჩენილ დროის მაქსიმალურად გამოყენება მზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ვ. ჯიქია

ამინდი საქართველოში

21 აგვისტოს დილის 8 ს. 22 აგვისტოს დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში მთელი დღე-ღამის განმავლობაში იდგა მოღრუბლული ამინდი დიდი წვიმა მოვიდა მახარაძის რაიონში, სადაც ნალექების რაოდენობა 60 მილიმეტრამდე აღწევს (ქ. მახარაძე, აცანა, და ანასეული). შავიზღვის სანაპირო რაიონებში (განსაკუთრებით ოჩემჩირეს, ფოთის და ბათუმის მიდამოებში) ნალექების რაოდენობა 15-დან 25 მილიმეტრამდე აღწევს. დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში (ქუთაისი, ონი, ტყიბული, წიფა და სხვ.) ნალექების რაოდენობა 5 მილიმეტრამდე აღწევს.

ბათუმის და ქობულეთის რაიონებში ქროდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი. ტემპერატურის ცვალებადობა დღისით ამ რაიონებში 20-23 გრადუსს უდრის.

აღმოსავლეთ საქართველოში დილით ყველგან მოღრუბლული იყო, ხოლო საღამოთი —ცხინვალის, გორის, ტფილისის, ბორჩალოს და კახეთში მოვიდა საკმაოდ ძლიერი წვიმა ნალექების რაოდენობა 17 მილიმეტრამდე აღწევს ტემპერატურამ, წინა დღისთან შედარებით დაიკლო და უდრიდა 17 გრადუსს (სურამი, ბორჯომი, ახალქალაქი, ცხინვალი.). დანარჩენ რაიონებში (ტფილისი, კახეთი, ბორჩალო) ტემპერატურა ცვალებადი იყო 20-დან 23 გრადუსამდე.

მოსალოდნელი ამინდი 23 აგვისტოსათვის: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია სიმშრალე, მოწმენდილი ამინდი, სუსტი ქარი და ტემპერატურის მატება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია —ცვალებადი მოღრუბლულობა, სიმშრალე, ზომიერი ქარი და ტემპერატურის მომატება.

სანიმუშო მოწყობილი ტანსაცმლის მაღაზია

„საქართველოს შალეულობით მომარაგება“ კომინტერნის ქუჩაზე ხსნის სანიმუშოდ მოწყობილ ტანსაცმლის მაღაზიას.

მაღაზიის ერთ ნაწილში მოთავსდება კაცების, ქალების და ბავშვების ტანსაცმლის (შალის კოსტიუმები, ხალათები, შარვლები და სხვ.) სავაჭრო. ხოლო მეორე ნაწილში სამკერვალო და დასასუფთავებელი განყოფილება. მომხმარებელს, შეკერილ ტანსაცმელების შეძენის გარდა, შეუძლია მაღაზიის სპეციალურ განყოფილებაში მისცეს ტანისამოსი გასაწმენდათ, შესაკეთებლად და გასასუფთავებლად. მას 15 წუთის შემდეგ დაუბრუნდება გაწმენდილი, შეკეთებული და გაუთოვებული. საამისო ფასი ფრიად მცირეა.

მაღაზიის შენობის გადაკეთება დაიწყო ორი თვის წინათ. მაღაზია გაიხსნება 1 სექტემბერს.

ამგვარად მოწყობილი მაღაზია ტფილისში პირველი იქნება. მიმდინარე წელს დაიწყება ამ ტიპზე ტანსაცმლის სხვა მაღაზიათა ამგვარი გადაკეთება.

◆

ჩეხო-სლოვაკელი ალპინისტები ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდნენ ჩეხო-სლოვაკელი ალპინისტები — დოქ. ბრატისლავ ბაყაიტი, ინჟ. გ. კრენი და დოქ. ოტ. შპაიცერი.

მათი მიზანი იყო ასვლა კავკასიონის ყველაზე დიდ მწვერვალზე —იალბუზზე და საქართველოში ალპინისტური ტურიზმის შესაძლებლობებთან გაცნობა. ამ ათი დღის წინათ ისინი ავიდნენ იალბუზზე, მიაღწიეს მწვერვალს და დაბრუნებისას მოუხდათ ღამის გათევა ახლად აგებულ ტურისტების თავშესაფარში.

— ევროპისა და აზიის მთელ რიგ მწვერვალებზე ვყოფილვართ, —განაცხადეს მათ, —მაგრამ არსად ისეთი გრანდიოზული სანახაობა არ გვინახავს, როგორც იალბუზზე. მომავალ წელს, ვფიქრობთ, კვლავ დავუბრუნდეთ კავკასიონს და მოვიზიდოთ ჩეხო-სლოვაკიის ალპინისტთა ახალი ჯგუფები.

21 აგვისტოს ჩეხო - სლოვაკელი ალპინისტები გაემგზავრნენ საზღვარგარეთ.

სურათზე: დოქ. ბრ. ბაყაიტი, ინჟ. გ. კრენი და დოქ. ო. შპაიცერი.

პურის დამზადება საქართველოში 20 აგვისტოსათვის

საქ. დამზადებათა კომიტეტის ცნობით 20 აგვისტოსათვის სავალდებულო ჩაბარების წესით „ზაგოტზერნოს“ პუნქტებს საქართველოში მიღებული ჰქონდათ 12.282,3 ტონა მარცვლეული, შესრულებული იყო ივლის - აგვისტოს გეგმის 96 პროც.

დამზადება განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს თელავის (შესრულებული აქვს გეგმის 82,6 %), ბორჩალოს (119,2 %), ყვარელის (117,5 %), სტალინისის (113,5 %), ლაგოდეხის (105,2 %), ლიუქსემბურგის (102,5 %) და ალბულაღის (101,5 %) რაიონებში.

ჩამორჩენილი არიან ახალქალაქის, ახალციხის, გორის საგარეჯოს რაიონები და სამხრეთ - ოსეთი.

ახალქალაქის რაიონს შესრულებული აქვს გეგმა მხოლოდ 29,4 %, ახალციხისას — 66,8 %, გორისას — 74,5 %, საგარეჯოსას — 76.4 % და სამხრეთ ოსეთს — 67,8 %.

ამავე რიცხვისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურანაზღაურების ანგარიშში მიღებული იყო 3957,7 ტონა, რაც ასაკრეფი რაოდენობის 99,8 %-ს შეადგენს.

კასპის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ყვარელის, ტფილისის და ბორჩალოს რაიონებს ნატურანაზღაურების დავალება 20 აგვისტოს უკვე გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული.

საბჭოთა მეურნეობებს 20 აგვისტოსათვის ჩაბარებული ჰქონდათ სახელმწიფოსათვის 25137 ტონა, რაც გეგმის 109.7 %-ს შეადგენს.

სასურსათო და სათესლე სესხის დასაფარავად მიღებული იყო სულ 786.9 ტონა მარცვლეული.

მინდის ანგარიშში „ზაგოტზერნოს“ პუნქტებს მიღებული ჰქონდათ 204,3 ტონა, შესრულებული იყო გეგმის 31.3 %

ერთი დღის დასვენების სახლი

6 აგვისტოს ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბმა დიდი ზეიმით გახსნა სტალინური გაწვევის რკინისგზელ მუშაკთა გამოსასვლელი დღის დასასვენებელი სახლი. ზეიმს დაესწრნენ რკინისგზის დირექციის საგზაო კომიტეტის და რკინისგზელი მუშების წარმომადგენლები.

გამოსასვლელი დღის დასასვენებელი სახლის მოსაწყობად თანხები გაიღეს ა.-კ. რკ. გზათა დირექციამ და რკინისგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტმა, ხოლო სახლის მოწყობა და მისი მუშაობისათვის ხელმძღვანელობა იკისრა კლუბის გამგეობამ.

ყოველ გამოსასვლელ დღეს, ადგილკომები დასასვენებელ სახლში გზავნიან წინასწარ შერჩეულ მუშათა ჯგუფებს, საუკეთესო დამკვრელებს, რომლებიც თავს იყრიან დილის 8 საათისათვის და რჩებიან დასასვენებელ სახლში საღ. 10 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში მუშებს ეძლევათ —საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი, სპეციალურად მათთვის იმართება კონცერტები, ეწყობა ფიზკულტურელთა გამოსვლები და სხვა გასართობები.

აგვისტო - სექტემბრის განმავლობაში დასასვენებელ სახლში გატარებული იქნება სტალინური გაწვევის 1500 დამკვრელი რკინისგზელი მუშა. კლუბის ბაღში გამოყოფილია ცალკე კუთხეები მუშების დასასვენებლად. ამ კუთხეებში მოწყობილია —გამაკები, დაფენილია ხალიჩები; აქ დამსვენებლებს შეუძლიათ გაერთონ ჭადრაკის, ნარდის, დომინოსი, შაშზე თამაშობით და სხვ.

სურათზე: ორჯონიკიძის სახ. კლუბთან მოწყობილ დასასვენებელ სახლში:— დამსვენებლები სადილად, შუაში —საზაფხულო დარბაზი, მარჯვნივ —სამკითხველო.

მეცნიერება და ტექნიკა

ელექტრობის მოქმედება მცენარეზე

ჯერ კიდევ 1747 წ. ფრანგი ფიზიკოსი ნოლლე დაინტერესდა მცენარეებზე ელექტრობის გავლენით, მაგრამ მაშინდელი ჩამორჩენილი ტექნიკის პირობებში რაიმე გარკვეული შედეგის მიღება არ მოხერხდა.

1902 წელს ამ საქმეს ხელი მოკიდა შვედმა ფიზიკოსმა ლემსტრემმა. მან შენიშნა, რომ ჩრდილოეთ მხარეებში ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა უფრო სწრაფად მწიფდება, ვიდრე სამხრეთში, ლემსტრემმა ეს იმას დაუკავშირა, რომ ჩრდილოეთის ჰაერი მდიდარია ატმოსფერული ელექტრობით. გარდა ამისა, ლემსტრემმა შენიშნა, რომ ჩრდილოეთის მრავალ მცენარეს აქვს წვეტიანი ფოთოლი, ეკლები და სხვ., რომლებიც ალბათ ჰაერიდან ელექტრობის მიღების როლს უნდა ასრულებდნენ.

თავისი მოსაზრების შესამოწმებლად ლემსტრემმა ასეთი ცდა მოახდინა: 3 ნახევარ ჰექტარ ნათესზე გადაჭიმა მავთულის ქსელი (მიწიდან 40 სანტიმეტრის სიმაღლეზე). ქსელი შეერთებული იყო მანქანასთან, რომელიც დენს იძლეოდა. ამრიგად ქსელის საშუალებით ხდებოდა ამ ენერგიის გამოსხივება ნათესებზე. ლემსტრემმა დადებითი შედეგები მიიღო, მაგრამ მისმა უდროოდ სიკვდილმა ბოლო მოუღო ამ საინტერესო ცდებს.

ლემსტრემის მიერ დაწყებული ცდები განაგრძო ინგლისელმა ფიზიკოსმა ოლივერ ლოჯმა ელექტროტექნიკოს ნიუმენთან ერთად. ლემსტრემის ცდები საფუძვლიანად და მთლიანად დადასტურდა.

მცენარეებზე ელექტრობის მოქმედების ასახსნელად ორი შეხედულება არსებობს: 1) დენის მოქმედებით მცენარეში მეტი სინესტე (ტენი) ორთქლდება, ძლიერდება მცენარის სუნთქვა, რაც იწვევს საკვები მარილების ენერგიულ დალექვას და ამის შედეგია მცენარის სწრაფი ზრდა; 2) საკვები ნივთიერებანი, რომლებიც ნიადაგში მოიპოვება, ელექტრიზაციის საშუალებით ისეთ სახეს ღებულობენ, რომ მცენარისათვის უფრო ადვილი ხდება მათი შეთვისება.

ბერლინელმა პროფ. ჰილდებრანდმა მთელი რიგი ცდები მოახდინა და პირდაპირ განსაცვიფრებელი შედეგები მიიღო. წითელი ბოლოკის თესლი, რომელზედაც 15 წამის განმავლობაში იმოქმედეს ელექტრონის ტალღებით, აღმოცენდა და საშუალოდ ვარგოდა ორ კვირაში. ნორმალურ პირობებში კი ამას 4,5 კვირა სჭირდება. ულტრამოკლე ტალღების ზეგავლენით მზესუმზირას თესლი აღმოცენდა და დამწიფდა ექვს კვირაში.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ელექტრობის მოქმედების შესწავლის საქმეში მეტად დიდი მიღწევები აქვს პროფ. ჩიჟევსკის, რომლის მუშაობას ახლო ხანში გავაცნობთ ჩვენს მკითხველს.

—□—

ფოტო - ტყვიამფრქვევი

შეერთებულ შტატებში დამზადებულია თავისებური ფოტო-ტყვიამფრქვევი აეროპლანიდან ნიშანში სროლის შესასწავლად.



ეს ფოტო - ტყვიამფრქვევი ისეთი სიდიდისა და ფორმის არის, როგორც ამერიკის საჰაერო განმანადგურებლებზე დადგმული ტყვიამფრქვევები. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „ჩახმახზე“ ხელის დაჭერის შემდეგ ფოტო-ტყვიამფრქვევი კი არ ისვრის, არამედ იღებს ფოტო-სურათებს —16 ფოტო - სურათს წამში (2600 ფოტო - სურათი წუთში).

ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე წინასწარ აღბეჭდილია კონცენტრიული წრეები ბადით, რაც შესაძლებლობას იძლევა ფოტო - სურათების გამჟღავნების შემდეგ გამოირკვეს ნიშნის აღების სისწორე.

სურათზე: —ფოტო - ტყვიამფრქვევი.

მნიშვნელოვანი აღმოჩენა

მარგუშევანის კაუჩუკის მეურნეობის (მთიანი ყარაბაღი) სპეციალისტმა ამხ. კუზმინმა უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა კაუჩუკოვანი მცენარის—ტაუ-საგიზის მოშენების დარგში. აქამდე ტაუ-საგიზის თესლი, გამოყვანილი ჩვეულებრივი გზით, არათანაბრად ამოდიოდა. ეს გარემოება მეტად აძნელებდა სამრეწველო პლანტაციების გაშენებას. ამჟამად ამხ. კუზმინმა შეიმუშავა თესლის წინასწარი დამუშავების მეთოდი, რომლის შედეგად ტაუ-საგიზი ერთდროულად ამოდის და თანაზომიერად იზრდება.

აკად. ვავილოვმა, რომელმაც ახლო წარსულში ინახულა მთიანი ყარაბაღი, აღნიშნა, რომ ამხ. კუზმინის აღმოჩენა შესაძლებლად ხდის ფართოდ გაიშალოს ტაუ-საგიზის სამრეწველო პლანტაციების გაშენება.

ვერცხლის წყლის თერმომეტრის შემოღების 200 წლისთავი

200 წლის წინათ, 1734 წ., ფრანგმა ფიზიკოსმა რენე ანტუან რეომიურმა შემოიღო ვერცხლის წყლის თერმომეტრი, რომელიც ამ დროიდან ცელსიუსის თერმომეტრთან ერთად ყველაზე გავრცელებული თერმომეტრია მსოფლიოში.

თერმომეტრის გამოგონება ეკუთვნის მეთექსმეტე საუკუნეს. ჰაერის თერმომეტრი გამოიგონა გალილეიმ და გააუმჯობესა გერმანელმა ფიზიკოსმა ოტტო ფონ-გერიკემ. შემდეგ ამ საქმეზე მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერები და სამეცნიერო საზოგადოებები მუშაობდნენ. 1714 წ. ფარენჰეიტი გადავიდა სპირტის თერმომეტრზე და შემოიღო თავისი საზომი, სადაც ყინულის დნობის წერტილი აღნიშნულია 32 გრად., წყლის დუღილისა კი—212-ით. ეს თერმომეტრი ფართოდ გავრცელდა ინგლისსა და ამერიკაში. მაგრამ შემდეგში ის განდევნა რეომიურის თერმომეტრმა, რომელშიაც ყინულის დნობის წერტილი აღნიშნულია ნოლით, წყლის დუღილისა კი 80 გრადუსით. შემდეგში შემოვიდა კიდევ უფრო გაუმჯობესებული ცელსიუსის თერმომეტრი.

ეს თერმომეტრები მეცნიერული მიზნებისათვის ზუსტი ვერაა. უკანასკნელ დროს შემოღებულია მეტად მგრძნობიარე თერმომეტრები (ბეკმანის, ბოლენის და სხვ.), რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გავზომოთ ტემპერატურა გრადუსის ერთი მეათასედის სიზუსტით. ელექტრონის თერმომეტრები კი გრადუსის მემილიონედ ნაწილებსაც აღნიშნავენ.

ელექტრო-დინამიური ვიბროგრაფი

დნეპროჰესის მექანიკური ლაბორატორიის სამეცნიერო თანამშრომლებმა ამხ. დრაგიმ და ინჟ. კუზნეცოვმა დაამზადეს ხელსაწყო რხევათა რეგისტრაციისათვის —„ელექტროდინამიური ვიბროგრაფი“.

ხელსაწყომ გამოცდისას დაამტკიცა დიდი მგრძნობიარობა და რხევათა 0,01 მმ. სიკ. სისწრაფის დროს ფოტოგრაფიულ ქაღალდზე უჩვენებს 1 მილიმეტრ გადახრას. რხევათა პერიოდის განსაზღვრა შეიძლება 0,001 სეკუნდის სიზუსტით.

ამ ხელსაწყოთი იკვლევა რხევათა სისწრაფე, ამპლიტუდა და მიმართულება ვიბროგრაფი თავისუფალია საკუთარი რხევისაგან. თუ ნაგებობის რხევა მცირეა, მიმართავენ გამაძლიერებელს.

ხელსაწყო წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ხიდების, თაღების, საძირკვლების და სხვა საინჟინერო ნაგებობათა რხევის შესასწავლად.

ასეთი ხელსაწყოები დამზადებული დნეპროჰესის ელექტრო-სახელოსნოებში და გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

სატრიკოტაჟო კომბინატი ღრმა ღელეში

საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ტფილისის ახალი სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც ღრმა-ღელეში შენდება, გადაკეთებულია სატრიკოტაჟო კომბინატად. კომბინატის შემადგენლობაში შევა ზედა ტრიკოტაჟის და ჩულქების ფაბრიკა და ბამბის ძაფსახვევი ფაბრიკა. მშენებლობა იყოფა ორ პერიოდათ: პირველი რიგის სამუშაოებში შედის სატრიკოტაჟო ფაბრიკა, ხოლო მეორე რიგის—ძაფსახვევი ფაბრიკა.

სატრიკოტაჟო ფაბრიკაში დადგმული იქნება ზედა ტრიკოტაჟის საქსოვი 200 მანქანა და 40—45 კომპლექტი კოტონმანქანებისა (ჩულქების საქსოვი მანქანა). რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ახალი სატრიკოტაჟო ფაბრიკის სიმძლავრეზე, საკმარისია ვთქვათ, რომ ტფილისში ამჟამად მომუშავე სატრიკოტაჟო ფაბრიკაში მხოლოდ ერთი კომპლექტია ჩულქების საქსოვი მანქანების, ზედა ტრიკოტაჟის საქსოვი გაუმჯობესებული მანქანა კი არც ერთი არ არის.

ბამბის ძაფსახვევ ფაბრიკაში დაიდგმება 50.000 თითისტარა. ორივე ამ ფაბრიკაში იმუშავებს 6.000 კაცი. აქედან 3.500 სატრიკოტაჟო ფაბრიკაში, ხოლო 1.500 ძაფსახვევ ფაბრიკაში.

სატრიკოტაჟო ფაბრიკა წლიურად გამოუშვებს 5 მილიონ ცალ ზედა ტრიკოტაჟს და 13 მილიონ წყვილ ჩულქს. ფულად გამოხატულებაში ფაბრიკა ყოველწლიურად მოგვცემს 185 მილიონ მანეთის პროდუქციას, რაც 37 ჯერ აღემატება ამჟამად არსებულ სატრიკოტაჟო ფაბრიკის ნაყოფიერებას.

საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლიუბიმოვის ბრძანებით, სატრიკოტაჟო ფაბრიკა უნდა ამუშავდეს 1935 წლის პირველ ნახევარში.

ამჟამად საამშენებლო მოედანზე, რომელსაც 7,5 ჰექტარი უჭირავს, მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები: შენდება კანტორა (მშენებლობა დამთავრებულია 90 პროცენტით), საბაზო ბაზა (65 პრ.), სასადილო (30,3 პროც.), ფაბრიკის საწარმოო კორპუსი (30 პროც.), რომელიც ორსართულიანია და გაჭიმული იქნება 287 მეტრზე, ინჟენერ-ტექნიკოსთა სახლი (85 პროც.).

ფაბრიკის მთავარ კორპუსიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით გამოყოფილია 17,5 ჰექტარი ფართობი, სადაც უნდა გაშენდეს მუშათა უბანი. ერთერთ ნაკვეთზე უკვე დაწყებულია ხუთსართულიანი მუშათა სახლის აგება 45 ბინით. ვინაიდან ფაბრიკა დაშორებულია ქალაქს, ამიტომ მუშათა მთელი რაოდენობის 80 პროცენტი ადგილობრივ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ბინით. ეს კი მოითხოვს მთელი ქალაქის გაშენებას ფაბრიკის ირგვლივ.

კადრების მომზადება ახალი სატრიკოტაჟო ფაბრიკისათვის იწარმოებს ამჟამად არსებულ ფაბრიკაში, რომელიც ამ მიზნით გადაკეთებული იქნება ფაბრიკა-სკოლად. სულ აქ უნდა მომზადდეს 2.700 კაცი.

• • •

მუშათა კლუბებში და ბაღებში

პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში — ფიზკულტურის საღამო: ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭიდაობა; ბაღში კინო ახალი პროგრამით.

ვოროშილოვის სახ. საზაფხულო ბაღში — ცეკვის საღამო, სომხეთის სახელმწიფო ანსამბლი არისტაკესიანის ხელმძღვანელობით, ბაღში კინო.

ტრამვაის მუშათა კლუბში —ბაქოს ქართული თეატრის გასტროლები, ბაღში სასულე ორკესტრი.

ორჯონიკიძის სახ. საზაფხულო ბაღში—ოპერა „თამარ ცბიერი“, ბაღში მასობრივი ცეკვა და კინო ახალი პროგრამით.

მშენებელ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ. 56) —ლენინგრადის წითელდროშოვანი თეატრის „სტროიკას“ გასტროლები. მონაწილეობას იღებს მთელი თეატრის შემადგენლობა —57 კაცი.

სარეწაო კოოპერაციის მუშათა კლუბში —სომხეთის დრამის არტისტთა კოლექტივი ერუმიანისა და ფირუმიანის მონაწილეობით; წარმოდგენილი იქნება „საიათნოვა“ ბაღში კინო ახალი პროგრამით

ხელოვნება

მეჩონგურე ქალთა ანსამბლის გასტროლები დასავლეთ საქართველოში

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან არსებულ მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ამიერ-კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე პირველი ჯილდო მიიღო, ა.-წ. ივლისის პირველ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და დაბებში კონცერტების მოსაწყობად.

ანსამბლმა გამართა სულ 25 კონცერტი მუშებისა და კოლმეურნეებისათვის. ზოგიერთ ადგილებში კონცერტი იმართებოდა უფასოდ. ანსამბლმა ქუთაისში გამართა 5 კონცერტი, ბათომში—4, ფოთში—3, ქალაქ მახარაძეში — 2, ლანჩხუთში — 2, სუფსაში — 2, სენაკში — 2. განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა კონცერტები: ზუგდიდში, საჭილაოში, აბაშასა და ჯუმათში.

ანსამბლი ასრულებდა აგრეთვე ქართლ-კახურ და გურულ სიმღერებს.

უნდა აღინიშნოს ის გულწრფელი, ყოველმხრივი დახმარება, რომელსაც მეჩონგურეთა ანსამბლს უწევდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები.

ანსამბლი ჩამოყალიბდა ათი თვის წინად. ამ ხნის განმავლობაში მან უკვე მოაწყო 72 კონცერტი. შესწავლილია ჩონგურზე 20 ხალხური სიმღერა. ამჟამად ანსამბლის წევრები შვებულებაში არიან, ხოლო აგვისტოს 25-დან შეუდგებიან ა. მეგრელიძის მიერ ჩაწერილსა და ნოტებზე გადაღებულ ხალხურ სიმღერების შესწავლას.

ანსამბლს დასახული მიზნის მისაღწევად ესაჭიროება შესაფერისი სამეცადინო ბინა და ახალი ჩონგურები. საჭიროა აგრეთვე ანსამბლის შემადგენლობის აყვანა 30 კაცამდე, რისთვისაც სათანადო სახსრები ანსამბლს არ გააჩნია.

მ. ა.

კავშირი უცხოეთის მუშებთან

ტფილისში ჩამოვიდა მუშათა საერთაშორისო დახმარების საზოგადოების ცენტ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მისიანი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გაეცნოს ტფილისის კლუბების მუშაობას, მუშათა საერთაშორისო დახმარების ხაზით, მიიღოს ზომები ტფილისის საწარმოების მუშებსა და უცხოეთის მუშებს შორის კულტურული კავშირის განსამტკიცებლად და სხვ.

გუშინ ამხ. მისიანმა დაათვალიერა ტფილისის მუშათა კლუბები და გაეცნო მათ ინტერნაციონალურ - აღმზრდელობითი მუშაობას.

სურათზე: ამხ. რ. მისიანი.

ჩვენ გვწერენ

(ტფილისი, სტალინის რაიონი)

მასწავლებელი ელენე ლორთქიფანიძე იცი წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მისი სპეციალობაა —რუსული ენა. იგი კარგ და გამოცდილ მასწავლებლად ითვლება, რაც ამოწმებს განსახკომის მეთოდისტის ამხ. ნაუმენკოს მიერ მისთვის მიცემული დახასიათება. „რუსული ენის მასწავლებელმა ამხ. ლორთქიფანიძემ კარგად იცის რუსული ენა, მუშაობს სერიოზულად და კეთილსინდისიერად და აინტერესებს ამ ენის სწავლების მეთოდიკა“.

ამის შემდეგ თითქო, ცხადია, რომ სკოლის გამგეებიც და განათლების ორგანოებიც უნდა ცდილიყვნენ შეენარჩუნებინათ ასეთი მასწავლებელი. ასე ფიქრობდა მე-31 სკოლის გამგე, როცა ის 1934-35 სამოსწავლო წლისათვის საგნების განაწილების ცხრილს ადგენდა: მან ამხ. ლორთქიფანიძისათვის ცხრილში შეიტანა რუსული ენის გაკვეთილების სათანადო რაოდენობა. მაგრამ ასე არ ფიქრობენ სტალინის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. [illegible]) რომელმაც საჭიროდ ცნო რუსულ ენაში დასპეციალებული მასწავლებელი ლორთქიფანიძე გადაეყვანათ გერმანული ენის მასწავლებლად, რომლის სწავლებაზედაც ამხ. ლორთქიფანიძემ თვითონ აიღო ხელი რადგან მან გერმანული ენა სუსტად იცის.

ამის შემდეგ, აგერ ორი თვეა, მასწავლებელი ლორთქიფანიძე, გაკვეთილების ნაცვლად, დადის ინსტანციიდან ინსტანციაში, ამტკიცებს, რომ მისი სპეციალობაა რუსული ენაა რომ იგი გერმანულ ენაში ძლიერ სუსტია.

პროფკავშირი საჭიროდ თვლის მის დატოვებას რუსული ენის მასწავლებლად, განსახკომის მეთოდისტს რუსულ ენაში „საჭიროდ მიაჩნია ამხ. ლორთქიფანიძის შენარჩუნება სკოლისათვის, რუსული ენის მასწავლებლად“. მაგრამ სტალინის რაიონის განათლების განყოფილებას თავისი ბრძანების შეცვლა თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნია.

სიტყვა ტფ. განსახკომის განყოფილებას ეკუთვნის.

ბიბლიოგრაფია

ალ. ბარამიძე, „ფირდოუსი და მისი „შაჰ-ნამე“ —ტფილისი, 1934 წ. სახუნივერსიტეტის გამოცემა

ალ. ბარამიძის წიგნი „ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე“ სახუნივერსიტეტმა გამოსცა სპარსეთის უდიდესი მწერლის ფირდოუსის ათასი წლის შესრულების (1838—1908) იუბილესთან დაკავშირებით. ავტორი მიზნად ისახავს მოგვცეს ფირდოუსის შემოქმედების მოკლე ისტორიულ - ლიტერატურული მიმოხილვა და შაჰ-ნამეს ქართული თარგმანების შესახებ არსებულ სადაო საკითხების გარკვევა.

ტუსის პოეტი აბულ-ყასიმ ფირდოუსი სპარსეთის უძველესი კლასიკური მწერალია. მან მსოფლიო სახელი გაითქვა უკვდავი „შაჰ-ნამეთ“, ანუ როგორც მას მეორენაირად უწოდებენ „მეფეთა წიგნით“.

ავტორმა მიუხედავად დაბრკოლებებისა შეძლო ფირდოუსის ბიოგრაფიის შედგენა, რომელიც პირველ ცდას წარმოადგენს განსაკუთრებით ქართულ ენაზე.

შაჰნამეში ფირდოუსმა თავი მოუყარა საკმარისად ფართოდ გავრცელებულ სპარსულ ხალხურ თქმულებებს. როგორც ცნობილია ასეთი თქმულებები და ისტორიული თუ ზღაპრული ამბები შეგროვილი იყო ფირდოუსამდის, კერძოთ ძველ სპარსულ ენაზე (ფილურზე).

ცნობილია, რომ ფირდოუსი იყო უდიდესი პატრიოტი, ამიტომ მისი შაჰ-ნამე ნაციონალ-პატრიოტულ თვალსაზრისს ატარებს.

ამხ. ბარამიძე კი ამტკიცებს, რომ თითქოს შაჰ-ნამეში „ძირითადი და მთავარია კეთილი და ბოროტი ძალების ორმხრივის და ჰარმონიის წინააღმდეგობანი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლანი“ (იხ. გვ. 18, კურსივი ჩვენია. ა. ღ.).

რა თქმა უნდა ამაზე დათანხმება შეუძლებელია. შეუძლებელია ლიტერატურის მარქსისტი ისტორიკოსი მივიდეს ასეთ დასკვნამდის, მაშინ, როდესაც ამ დებულების წინააღმდეგ ლაპარაკობს ფირდოუსის მთელი შემოქმედება.

შემდეგ ამხ. ბარამიძის აზრით „შაჰ-ნამეს“ საერთო იდეური მიმართულებით გარკვეულად ინაკვთება ფირდოუსის ნაციონალ - პატრიოტული თვალსაზრისის ტენდენცია“ (იქვე, კურსივი ჩვენია ა. ღ.) ჯერ ერთი ეს დებულება წინად მოყვანილ აზრს ეწინააღმდეგება, მაგრამ არსებითად არც ეს არის სწორი, ფირდოუსის შემოქმედების იდეური მიმართულება არის არა ნაციონალ-პატრიოტული თვალსაზრისის მხოლოდ ტენდენცია, არამედ მთელი მისი შემოქმედება გაჟღენთილია ნაციონალ პატრიოტული თვალსაზრისით. აქ დავიწყება აშკარა შეცდომაა.

ფირდოუსს საკუთარი სამშობლო სპარსეთი და მისი გმირები ცამდის აყავს, მათ სახავს „გონებრივი სრულყოფის და ფიზიკური უბადლობის განუმეორებელ სახეებად“, მაგრამ იქვე მოცემულია დაპირისპირება, ავტორი ამავე დროს მიწასთან ასწორებს სპარსეთის, როგორც პოლიტიკურ სახელმწიფოს მტრებს, რომლებიც მრავლად ყავდა მას მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში (თურანელები, არაბები და სხ.).

ყველაფერი ეს აშკარაა მთელ შაჰ-ნამეში. ამისათვის ამხ. ბარამიძეს უსათუოდ უნდა გაეწია ანგარიში.

ასევე უმართებულოა ავტორის მიერ მე-19 გვერდზე ფირდოუსის გამოცხადება სპარსეთის „ოპოზიციური ფენების“ იდეოლოგად მაშინ, როცა ფირდოუსი, იყო მაშინდელი სპარსულ ნაციონალ-პატრიოტი ფეოდალების სისხლი სისხლთაგანი და არა „ოპოზიციური ფენების“ იდეების უბრალო პროპაგანდისტი.

სხვა მხრივ წიგნი მეტად საინტერესოა. ავტორს კარგად აქვს გარკვეული ძველ ქართულ ფეოდალურ ლიტერატურასთან შაჰ-ნამის და თვით ფირდოუსის ურთიერთობა.

ავტორი ეხება აგრეთვე შაჰ-ნამეს გავლენას ქართულ ფეოდალურ მწერლობაზე და ბოლოს ლაპარაკობს შაჰ-ნამის ქართული თარგმანის ვერსიების შესახებ. ამ მხრივ იგი არსებითად ემყარება აკად. ნ. მარრის, პროფ. ა. ხახანაშვილის, პროფ. ი. აბულაძის, პროფ. კეკელიძის და სხვ. ცნობილ გამოკვლევებს, მოყავს ახალი დოკუმენტებიც თარგმანებისა და მთარგმნელების შესახებ.

მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა ამხ. ალ. ბარამიძის წიგნი, „ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე“ უსათუოდ საინტერესოა. იგი გაადვილებს ფირდოუსის შესწავლას მით უმეტეს ამ დროს აღმოსავლეთის დიდი მწერლის დაბადებიდან ათასი წლის იუბილესთან დაკავშირებით მისცემს დამახასიათებელ მასალებს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას.

ალ. ღლონტი.

მარგანეცი

20 აგვისტო

საქონლო პროდუქციის გამოშვება (ტონობით)

3.330	3.215	96,6

ვაგონების ჩატვირთვა

—	173	173

ოქტომბერი
7. 9. 11.
დამკვრელი საზაფხ.
6-30. 8. 9-30. 11
დამკვრელი საზამთ.
8-45. 10. 11-15.
ეთერი საზაფხ.
9, 11
ტემპი (საზაფხ.)
9. 11.
„26“-ის სახელ.
9. 11.
რ. ლიუქსემბურგის სახელობის
კომინტერნი საზაფ.
(დიდუბე) 9. 11.

მხატვრული ხმოვანი ფილმი
სიკვდილით დასჯა
ამერიკული ფილმი
1-ლი სერია
ვერცხლის შარფი
ახალი ხატ. ფილმი
ვ ვ ი რ ა ბ ი
სომხეთკინოს ნაწარმოები
გ ი ქ ო რ ი
სიკვდილის კონვეირი
ახალი ფილმი
ნ ა მ უ ს ი

სტამბა
„კომუნისტ“-ში
საჭიროა მოწაფეები
ყველა ცეხ-ისათვის
18 წლიდან 30 წლამდე.

სტალინისის სახ. სასამ აღმასრულებელი ვ. ქეიშვილი ამით აცხადებს რომ ის 26 აგვისტოს დღის 4 საათზე გოგოლევის ქ. № 37,
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის მოქ. სიმონ დავიდოვის მოძრავ ქონებას [illegible] 30 [illegible] 1934 წ. 8 ივლისის [illegible] 35 [illegible]

დაუსწრებელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
აგრო-ეკონომიურ [illegible]—მევინახეობის, მეცხოველეობის და საინჟინერო ფაკულტეტზე [illegible] ამა წლის 20 VII-დან 20 X-დე.

საბუთები იგივეა საჭირო, რაც სტაციონარულ ინსტიტუტში. მიღების დროს უპირატესობა ეძლევა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა და სხვა სასოფლო — სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ მივლინებულთ განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი [illegible]

პირობების გაგება სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტში (ვაკე) 10—3-საათ მდე
880 დირექცია

ტფილისის საბჭოს საფინანსო განყოფილება ამით აცხადებს
ქ. ტფილისში შენობების მფლობელთა და [illegible]
ტფილისის საფინანსო.

საქვაჭრობას ესაჭიროება გამოცდილი
უფროსი ბუხჰალტრები
ტფილისში სამუშაოდ ძერჟინსკის ქუჩა № 19, ცენტრალური ბუხჰალტერია.
888

ი. ჭეიშვილი
[illegible]

ტფილისის სატყეო-სასწავლო კომბინატში
1934-35 სას. წლის მიღება განცხადებების მიღება გაგრძელებულია 5 სექტ მდე.
[illegible] 15 სექ [illegible]
848 დირექტორი ნუცუბიძე.

დედა ანეტა, ძმა კოლია, და მარო, რძალი ლუბა, ძმისშვილები მაყვალა, ვასილი, ბებია ფოტინე მწუხარებით იუწყებიან, რომ 24 აგვისტოს ქ. სამტრედიაში საგვარეულო სასაფლაოზე 5 ს. დანიშნულია საყვარელ ვალერია ვასილის ასული ახობაძის სამოქალაქო პანაშვიდი. ქვ. 4896

გაუბედურებული დედა: ეკატერინე მართაშვილისა იუწყება ერთად-ერთი შვილის მერი ნიკოლოზის ას. მართაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. დაკრძალვა 24 აგვისტოს 5 ს. ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება შემახის ქ. 16. ქვ. 4895

დამწუხრებული ძმები: ნიკო, სერგო აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს უსაყვარლეს ძმის ვახტანგ სამადაძის უდროოდ დაღუპვას. გამოსვენება 24 აგვისტოს 5 ს. დავიდოვის ქ. 32. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქვ. 4902

გულდამწვარი ქმარი ჯავა, მაზლები. როკლი, კოლია, იპოლიტე, და შოთა დედამთილი მარო ნაჭყებიები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავად მყოფობით გარდაიცვალა ლუბა თოლორდავას ასული ნაჭყებია დასაფლავება 25 აგვისტოს სოფ. კურხუში. ანგ. 520

საქ. სოფ. მომარაგების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენ თანამშრომლის პეტრე გარსევანიშვილის, შვილის პატარა ალბერტის გარდაცვალების გამო. გამოსვენება 23 აგვისტოს 5 ს. მუხიანის ქ. 2. ქვ. 4905

ლუკა და სოფიო ბრეგვაძე შვილით, ზაბო, აქვსენტი ჩხაიძე შვილებით, თამარი, ივანე ჯაფარიძე შვილებით მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი სიძის ზაქარია კლიმიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 6 ს. განათლების მუშაკთა სახლიდან (ფურცელაძის ქ. 3) ქვ. 4905

სიძე გაბრიელ მეგრელიშვილი ცოლით, ქეთევანით და შვილით პატარა რუსუდანით მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას და ამხანაგებს ზაქარია კლიმიაშვილის მოულოდნელად გარდაცვალებას. გამოსვენება განათლების მუშაკთა სახლიდან, დღეს 6 ს. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. უფ.

საქ. განათლების სახ. კომისარიატი მწუხარებით იუწყება განსახკომის ენერგიული მუშაკის ამხ. ზაქარია მიხ.-ძე კლიმიაშვილის უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს საღამოს 6 საათზე, განათ. მუშ. სახლიდან (ფურცელაძის 3) დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე ქვ. 4903

უახლოესი მეგობრები: კ. სულაქველიძე, დ. ორაგველიძე, ლ. ციხისთავი, ვ. ასათიანი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ კულტურულ ფრონტზე დაუღალავი მუშაკის, საუკეთესო მეგობრის ამხ ზაქარია (ზაქრო) კლიმიაშვილის გარდაცვალების გამო. ქვ. 4897

თამარი და გულნარა აბაშიძეები, ელენე, ივანე, ალექსანდრე ჩერქეზიშვილები, ეკატერინე, სიმონ ბაქრაძე იუწყებიან დაუვიწყარი დის და დედის ეკატერინე ალექსანდრეს ას. ერისთავის გარდაცვალებას. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან 24 აგვისტოს 1 ს, ავლაბრის სასაფლაოზე.

დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო, ქალიშვილები რუსუდანი, ქეთევანი, სიძეები ლეო ასათიანი, გაბრიელ მეგრელიშვილი, შვილიშვილი რუსიკო იუწყებიან ზაქარია კლიმიაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 6 ს. განათლების მუშ. სახლიდან (ფურცელაძის 3) დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქვ. 4903

უახლოესი ამხანაგები: ქ. დვალი, ა. ლომაძე, ვ. კახიანი, შ. დვალი, გ. კუკულაძე, ი. ჩაჩანიძე, პ. ჯაფარიძე, ბ. ჩხიკვაძე, ქ. ერისთავი, ე. მაჩაბელი, თ. ჯლუზიაშვილი და ზ. სადუკოვა ვიზიარებთ ამხ ლუკა ბრეგვაძის მწუხარებას მისი სიძის ზაქარია მიხ.-ძე კლიმიაშვილის გარდაცვალების გამო. ქვ. 4901

დამწუხრებული ცოლი: ვარვარა ივანეს ასული, შვილებით: მარუსია, ანიჩკა, მაშა, სერიოჟა, ალექსანდრე თავიანთი ოჯახებით იუწყებიან. იოსებ ქრისტეფორეს-ძე ოსიპოვის გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. ზორობაშვილის ქ. 9 (ავლაბარი) დაკრძალვა 24 აგვისტოს 5 ს. 4804

ღრმად დამწუხრებულნი დავითი, მაშო, ლევანი, რუსუდანი, ვერა, ნიკო ასათიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ძვირფასი ზაქარია მიხ.-ძე კლიმიაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 4900

დამწუხრებული შვილები: ერმილე, კოსტა, რძლები: ნინა, ვეროჩკა შვილებით—ლომთათიძენი და ქალიშვილები იუწყებიან, რომ 24 აგვისტოს მანგლისში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ დედის დესპინე ლომთათიძის ხსოვნის აღსანიშნავად. ქვ. 4866

სტამბა „კომუნისტი“, კალოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ა. 303.